


რაჭავ, ჩემო თვალის ჩინო...

რეპუბლიკა

№ 9 (83) 1.09.2016 - 1.10.2016 ფასი: 2 ლარი

ჟორჯიანული რეპუბლიკა

ღვთისმშობლის დღე



2


33 28

**გარე
ეფექტი**

საქმის სიყვარული
შედეგად რეინტეგრაცია

გენ ბონენსიერას პოლიტიკაში

1000



რეპუბლიკის
განმარტვების
ქვის პარკონი

ნიკორწვენი

რას პირდაპირ
გირჩები
ქვირქვირული
საქმეებს

33 24



33 38

ვინიფიკაცია
შედეგად ლეგალიზაცია და
საწვდომი ვიუ-
კლის უწყის
დაარსების სპეციალი



33 21

შედეგად
თავისუფლების
მოგზაურობა
საქმეები




ქალი ბაჭულო

ნერილს გიგზავნი ნინიკო,
შენ რაჭველების ქომაგსა.
შენსავით კარგი ნეტავი სხვაც გაეჩინოს ზენასა,
დიდება უფალს, შენს შემქმნელს,
ღირსება მამას შენსასა,
დაფნის გვირგვინი ეკუთვნის მშობელს
და გამზრდელს შენსასა.
ტანსა გრძელს კაბას მოირგებ,
თავზე შინდისფერ მანდილსა,
რაჭაში გაზრდილი ქალი ეამაყება ქმარ-შვილსა,
დღისით მზეს აფრქვევ მკითხველებს,
ღამე მთვარე ხარ ღამისა,
გამოგყვა რაჭის მშვენიერ შოდა
კედელა მალღისა.
სახე, შუბლი მადლიანი, სამშობლოსთვის
ანთებ სანთელს,
დღე და ღამე საქმიანობ სიყვარულით
ათევ ღამეს,
ყველაფერი მოგცა ღმერთმა
ქალისათვის დამამშვენი,
ღმერთო, აი ასეთები ყოფილიყვნენ დანარჩენი.
სამშობლოს რომ შეველა უნდა, ამას
ეტყვის ქართველს დედა,
შენ ასრულებ ქართველებში დაგვარიგა
რაცა ღმერთმა,
სალაღობოდ არ მოვსულეართ, გეაბარია
საქართველო,
ათი მცნების მონა შენ ხარ, ქალი ქალად
სასახელო.
დამსახურებულ ჟურნალისტს დარდი
განუხებს ერისა,
გენათებოდეს ნათელი სიბრძნე სოლომონ
ბრძენისა,
კრავი ხარ, მეც შეშინია დიდი მშვიერი მგელისა,
დღესა გვეჭირდება ქართველებს ძალა
და რწმენა ღმერთისა.
მისწერე უფალს ამბავი ვითარცა წმინდა ამბავი,
სისხლით მორწყული მინა გვაქვს წვეთები
ამოდენილი,
ღმერთო, მანახე დიდგორი შველივით
ყელმოღერილი,
ჩემს სათაყვანო მამულში აკვნები გამოფენილი.
გავაბათ ჯაჭვი ერთობის გაუხსნელ
გაუნყვეტელი,
გვეჭიროს დრომა სამშობლოს დაუხრელ
დაუშვებელი,
გადავაბართ მომავალს საზღვრები
გაუნყვეტელი,
მოგმართავთ ვინმე სწული, პათოსით
გაუტყებელი.
არც გაშიშვლება მოგიხდეს, არცა ფეხ-შიშველი
ტანტალი,

არცა რა უკან დახევა, არც არა შუბლზე
ღადარი,
მსოფლიოს ყველა ენაზე დადე ეგ შენი
ჟურნალი,
რაჭაზე შეყვარებული მცხეთისა წყაროს
მწყურვალი.
მონყენით ვზივარ რაჭაში მუხმიანება რიონი,
მამლის ყვილზე მალვიძებს ძახილით
კაკკასიონი,
რა ხდება, რამ გააჩინა რაჭაში სულის
ჩოჩქოლი,
ყოველ მეორე ჭიშკარზე გულს გაგისერავს
ბოქლომი.
რაჭა ხელიდან გვეცლება, გრძნობა მე
გამიზიარა,
დაპირებებით ექიმმა ვერსით განკურნა იარა,
რაჭაში, ჩემო ნინიკო, სრულიად გაქრა
ნისქვილი,
ხულუგოს ქვე ვინლა თესავს ყანებში გაქრა
სიმინდი.
ხარები გაქრნენ, ძროხები მგლებმა შეჭამეს
მთლიანად,
ყურძნის წვეს ველარსად დაღვევ ქვევრს
გაჩუქებენ მთლიანად,
მივხედოთ რაჭას შვილებმა, ჩაჩუმებულსა
მზიანსა,
ამას გნერ ნერილს დატვირთულს ბრძენსა
და ენაწყლიანსა.
ჩემო ძვირფასო ნინიკო, ლუხუნის ხიდთან
კუთხეში,
შოთა-თამარის წყაროებს გაშქონდა ჩუხჩუხ -
ჩუხჩუხი,
მაკვირვებს რატომ მოშალეს, რას აშავებდა
ნეტარი,
შველიც აიღეს გორაკზე, ცრემლად იღვრება
ლუხუნი.
დაბორგავს სული ბოროტი არიდარია ეთნოსი
მთებზე ქარია, დაბლობში ქვითინი მესმის
საროსი,
გაუვა დრო და დაცხება, სულს გაუჩნდება
სამოსი,
მე ალბათ ვეღარ გავუძლებ დარდი მკლავს
ქართველ სამოსი.
ნინიკო, შენთვის ეს ლექსი გამოვატანე ნიავსა
მაია წყნეთელს გამსგავსებ, ხმალი რომ შევენის
დიაცსა,
შეუფიცე სვეტიცხოველში ნინოს ქრისტესა
ჯვრისასა,
სამშობლოს ვერვის დავუთმობ ღვთისმშობლის
ნანილისასა.

ზალიკო ჩიკვილაძე

იბეჭდება ავტორის დაყენებული თხოვნით

სარჩევნი

- ღვთისმშობლობა2
- პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატად გოჩა ენუქიძე წარადგინა3
- დავით კიკოლაშვილი ნიკორწმინდა4
- ნიკორწმინდის ტაძარი იუნესკოს მემკვიდრეობის სიაშია7
- თეა ცაგურიშვილი ნიკორწმინდა — რაჭაში ქრისტიანული რელიგიის ცენტრი8
- როდიდან მოიხსენიება ნიკორწმინდა საეპისკოპოსო ტაძრად9
- ნინო ჯაფარიძე ნიკორწმინდის უცნობი ფრესკები11
- ნიკორწმინდა და გალაკტიონი13
- მაია ჯალიაშვილი ტაძრის საგალობელი14
- გია მამალაძე ჩუქურთმებში გაცოცხლებული ქვის ჰარმონია18
- ექვთიმე თაყაიშვილი არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში21
- რას პირდება გიორგი კვირიკაშვილი რაჭველებს24
- კახა კალაძე - რაჭას დიდი ენერგეტიკული, სასოფლო-სამეურნეო, კულტურული და სამკურნალო ტურიზმის პოტენციალი აქვს27
- ნინო რეხვიაშვილი „რაჭის სიყვარული მამამ ჩამინერგა“28
- გივი სიხარულიძე სევდა სიცოცხლის მოტრფიალე კაცისა30
- ნინო რეხვიაშვილი როგორ გახდა ჭყონდიდელი „სკუა“ რაჭველების სანაქებო სიძე32
- სპარტაკ რეხვიაშვილი მამას უდიდეს ტკივილს დაცლილი სოფლები და გავერანებული ადგილ-მამულების ცქერა წარმოადგენდა35
- ვინ იყო შამშე ლეჟავა და რა წვლილი მიუძღვის შოვის დაარსების საქმეში38
- ამბროლაური სრულიად საქართველოს ამცნობს40



კახა კალაძე - რაჭას დიდი ენერგეტიკული, სასოფლო-სამეურნეო, კულტურული და სამეურნეო ტურიზმის პოტენციალი აქვს

27



ვიბათი ყვარაშვილი როგორ გახდა ჭყონდიდელი „სკუა“ რაჭველების სანაქებო სიძე

32



მამას უდიდეს ტკივილს დაცლილი სოფლები და გავერანებული ადგილ-მამულების ცქერა წარმოადგენდა

33

მთავარი რედაქტორი —
ნინო რახვიაშვილი
 ტელ: 599 74 68 10
 დამფუძნებელი —
გოჩა გუტაშვილი
 კომპიუტერული უზრუნველყოფა
დალი ჯვარაშიაშვილი
 ტექსტი აანწო
თამარ გოგინაძე
 კორექტორი
ქეთევან ნახნაძე
 მის: თბილისი, ლესელიძის
 ქ. №27, მგ-2ს.
 ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

მვირფასო მკითხველო!
 გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ჟურნალში მასალების განთავსება ფასიანია!

ღვთისმშობლობა

უფალმა, ადამის მოდგმა რომ ეხსნა, კაცობრივი ბუნების მიღება ინება და დედად ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი გამოირჩია.

დანიელ წინასწარმეტყველი ამბობდა: „მთისაგან ლოდი თვინიერ ხელისაგან კაცისა გამოკუთხილი“ (დან. 2:34), რაც იესო ქრისტეს უმამაკაცოდ შობას გულისხმობდა, ხოლო ესაია ლაღადებდა: „აჰა ესერა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე“ (ესაია 7:14).

მოსემ ღვთისმშობელი შეუწველ მაცვლოვნად იხილა სინას მთაზე, გედონმა - სანმისად, დავითმა - ტარიგად, მოსე წინასწარმეტყველმა უხრწნელ ქალწულად ჰქადაგა, ეზეკიელმა - სინმინდის ბჭედ, დანიელმა - შეურყვეველ მთად, ესაიამ - იესეს ძირად.

ქრისტიანულ ლიტურატიურაში არსებობს იაკობის აპოკრიფული თხზულება „შობა მარიამისა“, რომელიც დანვრილებით მოგვითხრობს, თუ როგორ შეეძინათ იოაკიმესა და ანას მომავალი მშობელი განკაცებული უფლისა.

ყოვლადწმიდა ქალწული გალილეის პატარა ქალაქ ნაზარეთში დაიბადა. მისი მამა, მართალი იოაკიმე, დავით მეფის ტომიდან იყო, ხოლო დედა, მართალი ანა, პირველი მღვდელმთავრის აარონის შთამომავალი გახლდათ. ღვთისმშობიშ ცოლ-ქმარს შვილი არ ეძლეოდა. ასე მიაღწიეს მათ ხანდაზმულობამდე, მაგრამ იმედი არ დაუკარგავთ, რომ ღმერთი, რომლისთვისაც არაფერია შეუძლებელი, შვილს მომადლებდა მათ. იოაკიმემ და ანამ აღთქმა დადეს, რომ ახალშობილს ტაძარში მსახურებისათვის უფალს მიუძღვნიდნენ. ებრაელები უშვილობას ღვთის სასჯელად მიიჩნევდნენ, ამიტომ იოაკიმე და ანა თანამემამულეთაგან მრავალ უსამართლო ყვედრებას ისმენდნენ. ერთ-ერთ დღესასწაულზე მართალ იოაკიმეს იერუსალიმის ტაძარში უფლისათვის მსხვერპლის შეწირვა სურდა, მაგრამ მღვდელმთავარმა უარი უთხრა. მოხუცი ღრმა მწუხარებით აივსო, უდაბნოს მიაშურა და ორმოცი დღე მარხვასა და ლოცვაში გაატარა.

უფალმა შეისმინა ცოლ-ქმრის ვედრება. მთვარანგელოზმა გაბრიელმა ანას აცნობა, რომ იგი მალე დედა გახდებოდა, ხოლო მისი ნაშობი განდიდდებოდა. გახარებულმა ქალმა მადლიერების ნიშნად მაშინვე აღთქმა დადო, რომ ბავშვს უფალს შესწირავდა. ანგელოზმა უდაბნოში განმარტოებულ იოაკიმესაც

აუწყა, რომ ღმერთმა მისი ვედრება შეი-სმინა და მალე მემკვიდრე შეეძინებოდა.

გავიდა ხანი და ანამაც იმშობიარა. მას ქალიშვილი შეეძინა, რომელსაც მარიამი უწოდეს.

მარიამი ერთი წლისა რომ გახდა, იოაკიმემ დიდი ლხინი გადაიხადა და მღვდელმთავრები, მღვდლები, მნივგნობრები და პატივსაცემი მოხუცები მიიწვია. მღვდელმთავრებმა და მღვდლებმა ჩვილი დალო-ცეს და ღმერთს მისი კურთხევა შეს-თხოვეს.


ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ზეციურ იერარქიაში თვით უმაღ-ლესი დასის ანგელოზებზე მალა დგას. როგორც მისდამი მიძღვნილ ერთ-ერთ საგალობელშია, "უპატიოსნესი ქერუბიმთა და აღმატებით უზესთაესი სერაფიმთა".

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ყველას შემწე და მეოხია, მაგრამ საქართველოსა და ქართველებს იგი განსაკუთრებით მფარველობს. ეს იმიტომ, რომ, საღვთო გადმოცემის თანახმად, ივერია ღვთისმშობლის წილხვედრია. როცა მოციქულები წილს ყრიდნენ, ვის რომელ მხარეში ექადაგა ქრისტეს რჯული, ღვთისმშობელს საქართველო ხვდა წილად, მაგრამ დედაღვთისას უფალი გამოეცხადა და აუწყა, არ დაეტოვებინა იერუსალიმი, ვინაიდან მოახლოებული იყო მისი მიძინება, და ისიც აღუქვა, რომ მისი წილხვედრი მინა მომავალში გაბრწყინდებოდა. ასე რომ, ღვთისმშობლის ნაცვლად საქართველოში ანდრია პირველწოდებული გამოგზავნეს.

საქართველო რომ ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშ იმყოფება, ეს ღვთის დიდი ნყალობაა, მაგრამ ამავედროულად უდიდესი პასუხისმგებლობაც. ნყალობას, მადლიერების გარდა, ღირსეულად მიღებაც სჭირდება, რადგან ნყალობა მხოლოდ მაშინაა ჯილდო, როცა ერთგულად მსახურებ უფალს; თუ უღირსად ექცევი ბოძებულ მადლს, იგი სასჯელად იქცევა.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობას მართლმადიდებელი ეკლესია 21 (ძვ. სტ. 8) სექტემბერს დღესასწაულობს. ამ დღეს ტაძრებში საგან-გებო საგალობლებს აღავლენენ - ადიდებენ ყოვლადწმიდა ქალწულს, ვითარცა კიბეს, რომელამც ცა და დედამინა შეაერთა, როცა ხორციელად შვა უფალი და ვითარცა "მაცვალს შეუწველს", რადგან დაიტია ღმერთი და არ დაინვა.

ვულოცავთ სრულიად საქართველოს ღვთისმშობლობის ბრწყინვალე დღესასწაულს!





პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში „ქართული ოცნების“ მასშობიარობის კანდიდატად გორია ენუქიძე წარადგინა



გიორგი კვიციანიშვილმა
ამბროლაურში,
ამბროლაურის, ონის,
ცაგვიკის, ლენტეხისა
და მესტიის საარჩევნო
ოლქში „ქართული
ოცნების“ მასშობიარობის
კანდიდატი გორია ენუქიძე
წარადგინა.
გატონი გორია გახლავთ
ოკი მთწვევის
კარლამუნთის წვეკი.
კალიან გამოცდილი,
საქმის ეკთვული კაცია.
დაკწმუნებული ვარ,
გაეკთიანებული ოლქის
წაკმომადგენლობა გატონი
გორიას კანსუსიმგებლობას
კიდევ უფკო გახკდის
და ეკთი წუთით არ
მთაკლებს ყუკადღებას
თქვენო ინტკმისების
დაცვას.



საქართველო ოქროს საწმისის, ძველი მითების, ლეგენდების, ეკლესია-მონასტრების, ციხე-კოშკების მხარეა, უფლისგან კურთხეული, ღვთისმშობლის ნილხვედრი ქვეყანა, რომლის წარმოშობის ისტორია უხსოვარ წარსულში იკარგება. იგი არის სამშობლო ქართველი ხალხისა, რომელსაც თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ერთხელაც არ მოუდრეკია თავი გადამთიელთა წინაშე; შეუპოვრად იცავდა სამოთხის ამ პატარა ნაწილს, რათა ჩვენამდე მოეტანა ამ ქვეყნის მთლიანობა, სიდიადე, სილამაზე, კულტურა, ხელოვნება, მრავალჯამიერი...

საქართველოს ყველა კუთხეს თავისი განუმეორებელი ხიბლი აქვს, მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია რაჭის ბუნება და მისი კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს

მნახველზე. მათ შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს წმ. ნიკოლოზის სახელზე აგებულ ტაძარს, რომელსაც წელს 1000 წელი უსრულდება. იგი მდებარეობს ამბროლაურის რაიონში, სოფელ ნიკორწმინდაში. ტაძარი აგებულია 1010-1014 წლებში. ბაგრატ III მეფობის დროს, რასაც გვაუწყებს დასავლეთის კარის ტიშპანში მოთავსებული ასომთავრული წარწერა: „ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ადიდე სიმრთელით და დღეგრძელობით შენ მიერ გვირგვინოსანი ბაგრატ აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კურაპალატი. და გაზარდე ძე მათი გიორგი ნებასა შინა შენსა, მეოხებითა წმიდისა მღვდელთმოდურისა ნიკოლოზისათა“. ფასადებზე უხვადაა სხვა მრავალი ასომთავრული წარწერა. ტაძრის კომპოზიციის ცენტრს წარმოადგენს გუმბათქვეშა სივრცე, რომელსაც ემიჯნება ცენტრისკენ

მიმართული აფსიდები. გუმბათის ყელი 12 სარკმლით ნათდება. სამხრეთით და დასავლეთით ტაძარს აქვს მდიდრულად მორთული კარიბჭეები. ტაძრის ზომებია: სიგრძე კარიბჭის გარეშე 17,3 მ., სიგანე — 13,3 მ., სიმაღლე შიგნით — 22 მ.

მიუხედავად იმისა, რომ ძეგლის გარეგანი ფორმები არქიტექტურული თვალსაზრისით არ შეიძლება გენიალურ ქმნილებად ჩაითვალოს, იგი ფასადების მორთულობით, სკულპტურული დეკორითა და ჩუქურთმებით უმაღლეს მწვერვალს აღწევს. ორნამენტის მხრივ ტაძარს ერთ-ერთი, თუ უპირველესი არა, გამორჩეული ადგილი უჭირავს. რელიეფები მაღალი ოსტატობითაა შესრულებული; როგორც სჩანს, ტაძრის ორნამენტულ სულ მცირე სამი ოსტატი მაინც მუშაობდა, თითოეული ფასადის მორთულობაში შეიმჩნევა სხვადასხვა სიუჟეტური და საშემსრულებლო მანერა, თუმცა ერთიანობაში ისინი საოცარ ჰარმონიას ქმნიან. სამხრეთის ფასადზე, ზემოთ, წარმოდგენილია „მეორედ მოსვლის“ კომპოზიცია, ტიმპანში კი „ჯვრის ამაღლება“; დასავლეთის ფასადის ფრონტონში ტახტზე მჯდომი მაცხოვრის გამოსახულებაა, ქვემოთ, ტიმპანში კი — ქრისტე წმ. გიორგისთან და წმ. თევდორესთან ერთად; ჩრდილოეთის ტიმპანში მთავარანგელოზის ფიგურაა. რელიეფებს შორის ბევრია ფანტასტიკურ ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებები, რომელთაც განმარტებითი წარწერები ახლავთ და სწორედ აქედან ვიგებთ მათ სახელწოდებებს: „ფასკუჯი“, „სირაქლემი“, „ქათამ-ვეშაპი“, „ხარი ზებუ“, „ლომები“ და სხვ.



ეკლესია განახლებულია XVI საუკუნეში იმერეთის მეფის ბაგრატ III მიერ, როგორც ამას გვეუბნება ხსენებული მეფის მიერ 1534 ბოძებული სიგელი: „**ჩნ მეფეთ მეფემან ბაგრატ ველ-ყავით აღშენებად დაკნინებულისა მონასტრისა... და შევემენ საყდრად საეპისკოპოსოდ**“. 1544 წლამდე მონასტერ ნიკორწმინდას 30-ზე მეტ სოფელში ჰქონია ყმა-მამული. განახლებულ მონასტერში ბაგრატ III დაუსვამს ეპისკოპოსი, რომლის სასახლედ — საცხოვრებელი ოთახებით, მარნით, საჯინბოთი, საკუჭნაოთი და სალაროთი — XIX საუკუნემდე ყოფილა შემორჩენილი.

ინტერიერში შეიმჩნევა ძველი, XI საუკუნის მხატვრობის ფრაგმენტები, ხოლო XVII საუკუნის მოხატულობა, რომლითაც დაფარულია ტაძრის კედლები, შესრულებულია ადგილობრივი ფეოდალის **მერაბ წულუკიძის** დაკვეთით. წულუკიძეთა პორტრეტები წარმოდგენილია ტაძრის ქვედა რეგისტრებში. ქტიტორულ პორტრეტებში აგრეთვე გამოსახულნი არიან სასულიერო პირები: **გიორგი კანდელაკი, ნიკოლოზ წულუკიძე...** მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სახარებისეულ სცენებს. საკურთხევის კონქში წარმოდგენილია „ვედრება“. გუმბათში გამოსახულია წრეში ჩასმული ჯვარი, რომელიც ოთხ მფრინავ ანგელოზს უჭირავს.

სამრეკლო აგებულია XIX საუკუნეში, რასაც გვამცნობს მასზე მოთავსებული მხედრული წარწერა.

**მასალა მოამზადა
დავით კიკოლაშვილმა**





ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. VII. - თბ., 1984. - გვ. 435.

ნიკორწმინდა - ქართული ხუროთ-
მოძღვრების ძეგლი, გუმბათოვანი
ტაძარი. მდებარეობს ამავე სახე-
ლწოდების სოფელში. დასავლეთის
შესასვლელის წარწერის მიხედვით
იგი აუგიათ საქართველოს მეფის ბა-
გრატ III-ის დროს 1010-1014 წლებში.

ტაძარი გარედან მოკლემკლავებიანი
სწორკუთხა ჯვრის ფორმისაა, შიგნი-
დან კი ხუთაფსიდიანია, დასავლეთით მოკ-
ლე სწორკუთხა მკლავი
აქვს. აფსიდის შვერი-
ლებზე, რომელთაც
ნახევარსვეტის ფორ-
მა აქვთ, აღმართუ-
ლია გუმბათის ყელი.

ექვსწახნაგად ან გუმ-
ბათის წრეზე გადას-
ვლა ხდება აფრების
მეშვეობით. საკურთხე-
ვლის აფსიდის ბემისა
და დასავლეთის მკლა-
ვის გამო შინაგანი სივრცე შესამჩნე-
ვად არის დაგრძელებული, მთავარი
ღერძის გასწვრივ აღმოსავლეთიდან
დასავლეთისაკენ. ინტერიერში შე-
მონახულია XVII საუკუნის ფრესკები,
გვიანდელი ხანის ქართული კედლის
მხატვრობის დამახასიათებელი ნიმუ-
შები. ეკლესიის ფასადები შემოსილია



კარგად გათლილი ქვითა და დამუშა-
ვებულია უწყვეტი თაღებით. ასეთივე
თაღებით არის დამუშავებული 12-სა-
რკმლიანი გუმბათის ყელიც. ტაძარი
უხვად არის შემკული მდიდრული
ჩუქურთმებით, დიდი ადგილი უჭირა-
ვს აგრეთვე სიუჟეტურ მრავალფიგურ-
რიან რელიეფებს, მრავალფიგურიან
სცენებს („ფერისცვალება“, „მეორედ

მოსვლა“, „ჯვრის ამაღ-
ლება“), წმინდანების
ფიგურებს, რეალურ
და ფანტასტიკურ ცხო-
ველებს, გამოსახულე-
ბებს, რომლებიც ერთი
მთლიანი, წინასწარ გა-
აზრებული პროგრამის
შემადგენელ ნაწილებს
წარმოადგენენ. სარკმ-
ლებს ირგვლივ შემოუ-
ყვება ჩუქურთმიანი
არშიები. სამხრეთისა
და დასავლეთის კარი-

ბჭები მოგვიანებითაა მიშენებული,
მაგრამ ისინიც XI საუკუნის I ნახე-
ვარს განეკუთვნება. 1634 შენობა გა-
ნუახლება იმერეთის მეფეს ბაგრატ
III-ს. ტაძრის ეზოში აღმართული სა-
მსართულიანი სამრეკლო XIX საუკუ-
ნის II ნახევარშია აშენებული.

პ. ზაქარაია

ნიკორწმინდის ტაძარი იუნესკოს მემაკვიდრეობის სიაშია



2007 წლის 24 ოქტომბრიდან ნიკორწმინდის მონასტერი შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში. 2012 წელს საჩუბილიცაქით სამუშაოებისას ქვანოცლით დატანულ კარიბჭეებში აღმოიხსნა XVI საუკუნის მანამდე უცნობი თარეხები: ცაძრის ქციცლონთა, ადგილობრივ თეოდორთა და მთაჯარანგელოზ მიქაელის გამოსახულებები. ერთ-ერთი თარეხი წარწერა იხსენიებს ცაძრის მომხატვრს, ვინმე ჯაჯახაძეს. ქციცლონთა გამოსახულებებთან მოხსენიებულია ორი გვარი, ჯაჯახაძეები და წყლუკიძეები.



ნიკორწმინდის ტაძრის შენობა გარედან მოკლემკავებიანი სწორკუთხა ფურის ფორმისაა, შიგნიდან ხუთაფსიდიანია. შინაგანი სივრცე შესამჩნევად დაგრძელებული. ფასადები შემოსილია ნათალი ქვით და დამუშავებულია უწყვეტი თალებით. ტაძარი აშენებულია 1010 – 1014 წლებში. სამხრეთისა და დასავლეთის კარიბჭეები ცოტა მოგვიანოა, მაგრამ არა უგვიანეს XI ს-ის პირველი ნახევრისა. სამრეკლო XIX ს-ის მეორე ნახევარშია აგებული. 1534 წ. ტაძარი განუახლებია იმერეთის მეფე ბაგრატ III -ს. ტაძრის შიგნითა ფრესკებიც XVII საუკუნისაა.

შენობის გარეგნობა რამდენადმე მძიმეა, ელეგანტურობას მოკლებული. განსაკუთრებით გუმბათის ყელის მასიურობის გამო, მაგრამ ორნამენტაციის სიუხვე, უშრეტი მრავალფეროვნება, შესრულების ძალიან მაღალი ხარისხი, ძალზე საინტერესო სკულპტურული დეკორი ძლიერ შთა-

ბეჭდილებას ტოვებს. ქრისტიანული სიუჟეტების გვერდით ბევრია ისეთი მოტივიც, რომლებიც ხალხურ წინარექრისტიანულ რწმენასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ნიკორწმინდის ფასადები და ეკვტერები, ჩუქურთმათა გარდა, მორთულია ძალიან დამახასიათებელი და ისტორიულ – ევოლუციური თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი რელიეფური ქანდაკებებით: აქ არის წმინდანთა გამოსახულებები, მრავალფიგურიანი სცენები (“ფერისცვალება”, “მეორედ მოსვლა”, “ჯვრის ამალგება” და სხვ.), რეალური და ფანტასტიკური ცხოველები. მაგრამ ეს ცალკეული დამოუკიდებელი სამკაულები კი არ არის, არამედ ერთი მთლიანი, წინასწარ გააზრებული პროგრამის შემადგენელი ნაწილებია.

ქართულ ტაძართა სკულპტურული გაფორმება ნიკორწმინდაში მწვერვალს აღწევს.



ერთადერთი მონასტერი რაჭაში, რომლის დაარსების თარიღიც ზუსტადაა ცნობილი, ნიკორწმინდის მონასტერია. გაერთიანებული საქართველოს მეფის - ბაგრატ III-ის დროს აგებული მონასტერი წმინდა ნიკოლოზის სახელზე აშენებული უბრწყინვალესი ტაძრით ღვთისმოსავი ბერების მყუდრო სავანედ 1014 წელს იქცა. ამ დიდებული სავანის აღმშენებლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რაჭის პირველმა ერისთავმა - რატი ლიპარიტის ძემაც - ვკითხულობთ ვაჟა გობჯიშვილის წიგნში "რაჭის მონასტრები". ცნობილია, რომ შემდგომში რაჭის შთამომავლები - კახაბერის ძენი XI საუკუნის პირველ ნახევარშივე ტაძარს უგებენ სამხრეთის და დასავლეთის კარიბჭეებს, ამკობენ ძვირფასი საეკლესიო ინვენტარით, სწირავენ უძრავ და მოძრავ ქონებას. მათი სახელები მოხსენიებულია კარიბჭის ლაპიდარულ წარწერებში.

ნიკორწმინდის მონასტრის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს XI საუკუნის საბუთი - ანგარიშგება, რომელიც შედგენილია მონასტრის წინამძღვრის მიერ და სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია როგორც ნიკორწმინდელის „დანერილი“. მისი ორიგინალი დღეს აღარ არსებობს (დაინვა ქუთაისის მუზეუმში). სარგის კაკაბაძის ცნობით, სიგელი დანერილი ყოფილა ტყავზედ და აკლდა თავი და ბოლო. ამიტომაც ცნობილი არ არის დამწერის ვინაობა.

„დანერილი“ პირველად, 1897 წელს, გამოაქვეყნა თავის ქრონიკებში თედო ჟორდანიამ, რომელიც აღნიშნავს: "მისი პალეოგრაფიული ნიშნები გვიჩვენებს, რომ სიგელი დანერილია XI საუკუნის ხელით. ამას ეთანხმება თვით შინაარსი სიგელისა".

„დანერილის“ შედგენას მკვლევარები 1071-1080 წლებს მიაკუთვნებენ და ვარაუდობენ, რომ მანამდე მონასტერს რამდენიმე წინამძღვარი მაინც უნდა ჰყოლოდა.

დანერილის მიხედვით, ნიკორწმინდელს მამულები (შენიშნული და ნასყიდი) ჰქონდა 31 გეოგრაფიულ პუნ-

ქტში. აქედან 18 რაჭის და იმერეთის დღესაც არსებული სოფელია, 9 რაჭაში (ნიკორწმინდა, სოტევი, ჩიხა, ფუთი, ბაჯითი და ოკრიბა).

1534 წელს ბაგრატ იმერთა მეფემ ნიკორწმინდის მონასტერი საეპისკოპოსოდ აქცია. ეს კარგადაა ცნობილი და იმდროინდელი საბუთით: "ჩვენ მეფეთ-მეფემან ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩემმან დედოფალთ-დედოფალმან ელენე... ხელყავით აღშენებად დაკნინებულისა მონასტრისა ნიკოლოზ წმიდისა და შევქმენ საყდრად და საეპისკოპოსოდ და დავადგინე... მეუფე მანუელ..."

მანუელ ეპისკოპოსს ეკლესიურად დაუმორჩილა: "ოკრიბის მთას აქეთი, ნაკალოებს აქეთ, მუხურის მთას აქეთ, მთა დვალეთისა, ღები, გლოლა, ფისონ გამომდინარე რიონი, სრულიად რაჭა ასკის წყალს გამოლმა" ნიკორწმინდის სავანე იმთავითვე იქცა რაჭაში ქრისტიანული რელიგიის ცენტრად. აგერ უკვე ათი საუკუნეა, რაც მისი მაღლი და ნათელი მთლიან რაჭას ათბობს.

ეპარქიას ამ მხარეში არსებული დიდი მონასტრის - წმინდა ნიკოლოზის (ნიკოლოზწმინდის - ნიკორწმინდის) სახელი ეწოდა. ახალდაარსებული ნიკორწმინდის კათედრაზე 1534 წელს პირველ ეპისკოპოსად მანოელ ჩხეტიძე იქნა გამწესებული. მანამდე, 1529 წელს, ის ხონელ ეპისკოპოსად დაადგინეს. როცა ბაგრატ III-ს უკვე არსებული, თუმცა იმხანად დაკნინებული ნიკორწმინდის მონასტერი განუახლებია და მის ბაზაზე მონასტრის ნაცვლად საკათედრო, სამრევლო საყდარი დაუარსებია, პირველ ეპისკოპოსად მანოელი დაუდგენია. ნიკორწმინდის ეპარქია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე (დასავლეთ საქართველოში - 1821 წლამდე) არსებობდა. 1996 წლიდან ნიკორწმინდის ეპარქიას მეუფე ელისე (ჯოხაძე) წინამძღვრობს.

შეგვეწიოს ნიკორწმინდის ტაძრის მაღლი!

თეა ცაგურიშვილი

რომელან პოისსანიება ნიკორწმინდა საეპისკოპოსო ტაძრად

ნიკორწმინდა — გუმბათოვანი ტაძარი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ამავე სახელწოდების სოფელში. X საუკუნის ბოლოს რაჭის საერისთავოს შექმნის შემდეგ, ერთიანი ფეოდალური საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის ბრძანებით საძირკველი ჩაეყარა წმინდა ნიკოლოზის სახელობის დიდი ტაძრის მშენებლობას, რომელიც ამ საერისთავოს კულტურულ ცენტრად იქცა.

ნიკორწმინდის ტაძარი ეროვნული ხუროთმოძღვრების შედეგია. აგებულია XI საუკუნის დასაწყისში, 1010-1014 წლებში. ეს ის პერიოდი, როცა დიდი ყურადღება ექცეოდა ფასადების დეკორაციულ გაფორმებას. სწორედ ამ მხრივ ნიკორწმინდის დეკორი ქართული მონუმენტური პლასტიკის მიღწევაა.

ძეგლს არსებობის განმავლობაში დიდი ცვლილებები არ განუცდია. ეს კი იშვიათი შემთხვევაა. ტაძრის გუმბათი პირვანდელი სახითაა შემორჩენილი.

XVI საუკუნეში იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის ხელშეწყობით ნიკორწმინდა განაახლეს. ამ ფაქტის დამადასტურებელია 1534 წელს მეფის მიერ ტაძრისათვის ბოძებული სიგელი:

„ჩვენ მეფეთ მეფემან ბაგრატ... ხელ-ყავით აღშენებად დაკინებულისა მონასტრისა... და შეექმენ საყდრად საეპისკოპოსოდ.“

აქედან მოყოლებული, ნიკორწმინდა რაჭის საეპისკოპოსო ტაძრად მოიხსენიება.

ნიკორწმინდის შესახებ ბევრი ისტორიკოსი თუ მოგზაური წერდა. **XVIII საუკუნეში ტაძარი დაუთვალეირებიათ რუს ელჩებს, გოლოჩანოვსა და**



ივკლევს: „გავემგზავრეთ ალექსანდრე მეფის რაჭაში... ეკლესია ქვისაა, დიდი, საქმედ საკვირველი, ნიკოლოზ საკვირველმოქმედის სახელზე... ეკლესიის ახლოს არის ქვის გალავანი ორი კარით. იმავე ეკლესიაში დასაფლავებული არიან მეფის მახლობელი ნათესავები... აკლდამები გამართულია ეკლესიის კედლებში“. ელჩების ჩანაწერებში მოხსენიებულია ეკლესიის გალავანი, რომელიც დღესდღეისობით მორღვეულია, მხოლოდ მისი ნაშთებია შემორჩენილი. ხოლო რაც შეეხება მეფის ახლობელთა აკლდამებს, ისინი ძეგლის განახლებისას გადაუფარავთ.

ეკლესია ფორმით ცენტრალურ-გუმბათოვანია. ტაძრის ექსტერიერი რთულია და ელევანტურობას მოკლებული, განსაკუთრებით გუმბათის ყელის მასიურობის გამო, მაგრამ ორნამენტების სიუხვე, მრავალფეროვნება, შესრულების ძალიან მაღალი ხარისხი მნახველზე ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს. ქრისტიანული სიუჟეტების გვერდით ბევრია ისეთი მოტივიც, რომლებიც ხალხურ წინარექრისტიანულ რწმენასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ტაძარი გარედან მოკლემკლავებიანი სწორკუთხა ჯვრის ფორმისაა, შიგნიდან კი ხუთაფსიდიანია, დასავლეთით სწორკუთხა მკლავი აქვს. აფსიდის შვერილებზე, რომელთაც ნახევარსვეტის ფორმა აქვთ, აღმართულია გუმბათის ყელი. ექვსნახნაგად ან გუმბათის წრეზე გადასვლა ხდება აფრების მეშვეობით. საკურთხევის აფსიდის ბემისა და დასავლეთის მკლავის გამო შინაგანი სივრცე შესამჩნევად არის დაგრძელებული მთავარი ღერძის გასწვრივ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ნიკორწმინდის ფასადები და ეკვდერები, ჩუქურთმათა გარდა, მორთულია უაღრესად მნიშვნელოვანი რელიეფური ქანდაკებებით: აქ არის წმინდანთა გამოსახულებები, მრავალფიგურიანი სცენები, რეალური და ფანტასტიკური ცხოველები. აღმოსავლეთ ფასადზე წარმოდგენილია ფერისცვალების სცენა, ხოლო სამხრეთ ფრონტონზე ქრისტეს მეორედ მოსვლა და ჯვრის ამალღების კომპოზიციები, რომლებიც შინაარსობრივად ატარებს უფლის ძლევამოსილების იდეას. განსაკუთრებით გამოირჩევა ტაძრის კამარა, რომელზედაც გამოსახულია ორნამენტულად მორთული სხივი და მასში ჩასმული ჯვარი. ეკლესიის ფასადები შემოსილია კარგად გათლილი ქვითა და დამუშავებულია უწყვეტი თაღებით. ასეთივე თაღებით არის დამუშავებული 12-სარკმლიანი გუმბათის ყელიც. სარკმლებს ირგვლივ შემოუყვება ჩუქურთმიანი არშიები. სამხრეთისა და დასავლეთის კარიბჭეები მოგვიანებითაა

მიშენებული, მაგრამ ისინიც XI საუკუნის I ნახევარს განეკუთვნება. ტაძრის ეზოში აღმართულია სამსართულიანი სამრეკლო რომელიც XIX საუკუნის II ნახევარშია აშენებული.

ტაძარში არსებული რთული მხატვრობა XVI-XVII საუკუნეებით თარიღდება და გამოკვეთილია მხატვრობის ორი ფენა. მრავლადაა საერო პირთა პორტრეტები, რომელთაც თან ახლავს წარწერები. ვარკვევთ, რომ ნიკორწმინდა გვიანშუასაუკუნეებში ადგილობრივი თავადების, წულუკიძეთა საძვალეს წარმოადგენდა. ბარელიეფის ოვალურ მხარეს მოთავსებულია ლამაზად ამოკვეთილი წარწერა, რომლის ავტორიც ლოცავს გაერთიანებული საქართველოს მეფეს ბაგრატ III-სა და მის მემკვიდრეს: „ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ადიდე სიმრთელით დღევრძელობით შენ მიერ გვირგვინოსანი ბაგრატ აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კურაპალატი და გაზარდე ძე მათი გიორგი ნებასა შენსა და მეოხებითა წმიდისა მღვდელმთავრისა ნიკოლოზისათა“. წარწერა ადასტურებს ტაძრის აგების თარიღს, კერძოდ, ბაგრატ მეფემ რანი დაახლოებით 1010-1014 წლებში აიღო და სწორედ ამ პერიოდშია ნიკორწმინდა აგებული.

ეკლესიის დასავლეთ კედელზე, სარკმლის მარჯვნივ, მოხსენიებულია ტაძრის მოძღვარი გიორგი: „წმიდაო ნიკოლოზ, შეიწყალე გიორგი მოძღვარი ამის წმიდისაი ეკლესიისაი“. XI-XIII საუკუნეებში ნიკორწმინდა რაჭის ერისთავ კახაბერიძეთა საგვარეულო მონასტერს წარმოადგენდა, რაც დასტურდება ტაძარში არსებული რამდენიმე წარწერით: „მე კახაბერ... ძემან... ერისთავთერისთავისა რატისმან მოვჭედე ხატი ესე ჯუარცუმისაი... სადღევრძელებლად ძისა ჩემისა ერისთავთ ერისთავისა, რაჭის ერისთავის რატისად“.

XIII საუკუნის 80-იან წლებში დასავლეთ საქართველოს მეფემ, დავით VI ნარინმა ლალატის ბრალდებით კახაბერიძეთა დინასტია ამოწყვიტა. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ნიკორწმინდამ დაკარგა მფარველი და იგი საგრძნობლად დასუსტდა. XVI საუკუნის 30-იან წლებში იმერეთის მეფემ ბაგრატ III-მ გამოიჩინა მზრუნველობა და განაახლა ტაძარი.

ხატწერისა და მხატვრობის მეორე ფენა ეკუთვნის XVII საუკუნეს. როგორც სურათებიდან ვასკვნით, იგი მოხატული უნდა იყოს წულუკიძეთა ფეოდალური გვარის მიერ ამავე საუკუნის მეორე ნახევარში.

ნიკორწმინდის უცნობი ფრესკები

რაჭაში, ნიკორწმინდის ტაძარში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებისას დღემდე უცნობი ფრესკები აღმოაჩინეს. ტაძრის ქტიტორთა, ადგილობრივ ფეოდალთა და მთავარანგელოზ მიქაელის გამოსახულებას მეცნიერებმა ჭვარტლით დაფარულ კარიბჭეებში მიაკვლიეს. ერთ-ერთი წარწერა გვამცნობს, რომ ტაძარი ვინმე ჯავახაძეს მოუხატვინებია. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ნიკორწმინდის ახალაღმოჩენილი მხატვრობის ნიმუშები XVI საუკუნეს განეკუთვნება.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის, განცხადებით, ამ აღმოჩენის შემდეგ ცნობილი გახდა ორი ფეოდალური გვარი, რომელიც XVI საუკუნეში ტაძრის აღდგენაში მონაწილეობდა. ფრესკებზე გამოსახულია ქტიტორთა მთელი ოჯახი. აქვეა მხატვრის წარწერა, შესრულებული ასომთავრულით: „შენდობა ბრძანეთ და ვინცა შენდობა ბრძანოთ, თქვენაც შეგინდოთ ღმერთმა“.

ნიკორწმინდის სარესტავრაციო სამუშაოების ხელმძღვანელი, საერთაშორისო პრემიის „ნოსტრას“ მფლობელი, რესტავრატორი გურამ ჭეიშვილი ამბობს, რომ კარიბჭის მხატვრობა, სადაც მეცნიერებმა უნიკალურ ფრესკებს მიაკვლიეს, სრულიად შეჭვარტლული იყო და მცირე ორნამენტული ზოლების გარდა არაფერი ჩანდა.

„ამ ორნამენტებზე დაკვირვების შემდეგ საცდელი მონაკვეთები მოვნიშნეთ და მხატვრობის კვალი აღმოვაჩინეთ. ამის შემდეგ დასავლეთის კარიბჭის განმენდა დავინყეთ და ეს პროცესი ჯერ დასრულებული არ არის. ქტიტორთა გამოსახულებებთან მოხსენ-




ნიებულა ორი გვარი, ჯავახაძეები და წულუკიძეები, - ამბობს გურამ ქვიციანი.

„ნიკორწმინდის ტაძრის უმდიდრეს ინტერიერში ძველი მოხატულობის სულ ახალი ფენები ჩნდება. ეს მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო აღმოჩენაა. მხატვრობის ნიმუშების კონსერვაცია წლეულს, მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებთან ერთად განხორციელდება“, - მიიჩნევს ნიკა ვაჩიციანი.

ნიკორწმინდის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით მიმდინარეობს. ამ დროისთვის უკვე განხორციელდა ტაძრის გამაგრებითი სამუშაოები და გადახურვა. ნიკორწმინდის იმ ფრესკების კონსერვაციის I ეტაპი კი, რომლებიც რთულ მდგომარეობაშია, 2010 წელს დაიწყო. ექსპედიცია ამ ეტაპზე ტაძრის დასავლეთ მკლავის, გუმბათსა და საკურთხეველში არსებული ფრესკების გადარჩენაზე მუშაობს. ეს სამუშაოები აგვისტოს ბოლოსთვის დასრულდება. სარეაბილიტაციო და კონსერვაციის სამუშაოების გარდა, ტაძრის ტერიტორიაზე, წყლის გადამყვანი სისტემებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობა მიმდინარეობს.

პროექტს სამხატვრო აკადემიის რესტავრაციისა და ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები ახორციელებენ.

ნიკორწმინდის ტაძარი 1010-1014 წლებში ააგეს. სამხრეთისა და დასავლეთის კარიბჭეები კი მო-



გვიანებით მიაშენეს. 1534 წელს ტაძარი იმერეთის მეფეს, ბაგრატ III-ს განუახლება. ტაძრის შიგნითა ფრესკებიც ამავე პერიოდისაა.

ნიკორწმინდის ფასადები და ეკვდერები, ჩუქურთმათა გარდა, მორთულია მნიშვნელოვანი რელიეფური ქანდაკებებით: წმინდანთა გამოსახულებებით, მრავალფიგურიანი სცენებით („ფერისცვალება“, „მეორედ მოსვლა“, „ჯვრის ამალგება“), რეალური და მისტიკური ცხოველებით, რომლებიც ლაღად და ზუსტად ზის ერთიან სილუეტში.

ენო ჯაფარიძე



საქართველოს კულინარია და გუბრანთა ასტროლოგია-კაჰინა

საქართველოს კულინარია და გუბრანთა ასტროლოგია-კაჰინა, რაჭან ლოპხანიძის ხელმძღვანელობით, ამზადებს:

- ◆ მზარეულებს
- ◆ მოქმედ მზარეულებს უმაღლეს კვალიფიკაციას
- ◆ აქ შეისწავლიან როგორც ქართულ-ეროვნულ, ისე ევროპულ კერძებს

დაწყებითი სწავლის ხანგრძლივობაა სამი წელი, კვალიფიკაციის ამაღლება კი ერთ თვეშია შესაძლებელი.

**სრული კურსის დამთავრების შემდეგ
ბანიცაბა სერთიფიკატი.**





ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაუწყია გალაკტიონს წიგნის წერა, რომელსაც „ქართული ორნამენტი“ უნდა დარქმეოდა. პოეტის მრწამსით, „ენით გამოხატულ სიბრძნეს — გამოხატავს ხელოვნება, არა მარტო სიტყვიერი, არამედ უენოც, ქვაც, ხუროთმოძღვრება“. ამ „უენო“, მაგრამ პოეზიის ენაზე ამეტყველებული ნიკორწმინდის ტაძრის ქებას აღავლენს პოეტი თავის ლექსში. თუმცა, ეს პოეტური ქმნილება მხოლოდ XI საუკუნის ცნობილი ისტორიული ტაძრის განსაზღვრულად დაწერილი ნაწარმოები როდია, იგი საერთოდ მთელი ქართული ხუროთმოძღვრების ხოცბასაც წარმოადგენს. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებისადმი გალაკტიონის ასეთი დამოკიდებულება რომ შემთხვევითი არაა, ამას გალაკტიონის მიერ საკუთარი შემოქმედების საგულისხმო თვითშეფასებაც აშკარად ადასტურებს: ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს, ის პოეზიას ჩემსას გაიგებსო.

როგორ შიქმნა ლექსი „ქაბათა ქაბა ნიკორწმინდას“.

1947 წელს გალაკტიონი დასასვენებლად კურორტ შოვში იმყოფებოდა. კურორტის ხელმძღვანელობა თავს არ ზოგავდა პოეტისთვის კარგი პირობების შესაქმნელად. ხელმძღვანელობის დავალებით ნიკორწმინდელ მოხუც დურგალს - ნიკოლოზ ვაჩაძეს გალაკტიონისთვის ტყეში, მუხის ქვეშ, მაგიდა გაუკეთებია „დიდის გულმოდგინე-

ბით“ და მასთან მისასვლელი ბილიკიც გაუყვანია. პოეტი იგონებს: „ამგვარად, ჩემს განკარგულებაში იყო ახალთახალი ხეივანი, ჩემთვის სრულიად საკმარისი დაფიქრებისა და მოგონებებისათვის“. დურგალი მაგიდის კეთებისას გატაცებით უყვებოდა გალაკტიონს ნიკორწმინდის ტაძრის ჩუქურთმების შესახებ. მოსმენილით მოხიბლული გალაკტიონი დაჰპირდა ნიკოლოზს, რომ ამ მაგიდაზე დაწერდა რამეს ნიკორწმინდის შესახებ. „მა ეს დაპირება შიშასრული, ვინაიდან მე ჩვეული არა ვარ დაპირების არ ასრულებას. სახალხო პოეტი-ბის სიტყვა ყოველთვის საქმეა. იმ დღესვე დავწერე „ქაბათა ქაბა ნიკორწმინდას“, — ამთავრებს ლექსის შექმნასთან დაკავშირებული ამბის თხრობას გალაკტიონი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაკვირი აღარაა ვახტანგ ჯავახაძის სიტყვები: „ჩემთვის ნიკორწმინდა ყველაზე მაღალი ტაძარია, სადღაც მაღლა, ვარსკვლავებთან ამაღლებული, როგორც ქობულაძის ქაჯეთის ციხე და... პირველად რომ ნამდვილი ნიკორწმინდა ვნახე, გავოცდი. თითქოს მომატყუეს, ციდან მიწაზე ჩამომიყვანეს და ცივი წყალი გადამასხეს! საინტერესოა: თვითონ რომ ენახა, რას იტყოდა?! დიახ! დიახ! გალაკტიონს ნიკორწმინდა არ უნახავს!!!“ გალაკტიონმა მხოლოდ დურგლის ნაამბობის გონებაში რეალიზებით შექმნა ნიკორწმინდის სახე და ასე აღავლინა მისი ხოცბა.



ტაძრის საგალობელი

გალაკტიონის პოეზიაზე საუბრისას გასათვალისწინებელია პოეტის დამოკიდებულება სიციყვასთან, როგორც ღვთაებრივ ფენომენტთან, ლოგოსთან, რომელიც უამრავ საიდუმლოს ინახავს.

„ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს, ის პოეზიას ჩემსას გაიგებს“, — ნერს გალაკტიონი და ქართულ ჩუქურთმას თავისი პოეზიის უმთავრეს გასაღებად აცხადებს. პოეტის ამ სიტყვებსაც თუ გავითვალისწინებთ: „წვეთი სისხლიც არ არის ჩემში არაქართულიო“, ქართული ჩუქურთმა, ზოგადად, ქართული პოეზიის გაგების ძირითად გზად წარმოჩნდება.

ქართული ჩუქურთმის გაგება კი ქართული კულტურის, ქართული მითოსური აზროვნებისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ცოდნას გულისხმობს. ასე რომ, გალაკტიონი თითქოს წინასწარ აფრთხილებს მკითხველს, გარკვეული ცოდნის გარეშე ჩემი პოეზიის საიდუმლოს ვერ მოიხელთებო. ქართული სულიერება, ქართული კულტურა არის ის საფუძველი, რომელსაც გალაკტიონის მხატვრული აზროვნების სისტემა ეფუძნება. გალაკტიონის შემოქმედება საზრდოობს იმ ტრადიციებით, რომლებიც ქართველ ერს საუკუნეთა განმავლობაში შეუქმნია. ჩუქურთმა სწორედ სამყაროსადმი ქართველის დამოკიდებულების ამსახველი ერთ-ერთი ფორმაა. რევაზ სირაძის დაკვირვებით, „ქართულ ჩუქურთმაში ჩანს ვაზის სილამაზე (ქართველთა წარმოდგენით, ვაზი იყო სიცო-

ცხლის ხე), ვაზს კი სილამაზეს მზე ანიჭებდა. ასე დაუკავშირდა ქართული ჩუქურთმა მზის ესთეტიკას. სპირად ვაზით მოწნული ქართული ჩუქურთმა მზის თვალსა ჰგავდა“ (რევაზ სირაძე „სახისმეტყველება“).

ამგვარი „წინასწარი ცოდნა“ ამ ლექსის გაგებისთვისაც აუცილებელია, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ პოეზია გულიდან იზადება, იგი „სიბრძნის დარგია“ — „საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი“ (რუსთაველი). გალაკტიონმა, საზოგადოდ, პოეზიას გაგების (გააზრების) ეს დონე — „საღმრთო“ შეუნარჩუნა. „კვლა აქაცა ეამების“ — მისი პოეზიის მხოლოდ ერთი ასპექტია. და ყოველთვის „ორგზითვე ნაყოფს მოსცემს, ვისგანაც მოირხევა“ (გურამიშვილი). მთავარია, ვინ არის ნაყოფის ამლები და რამდენად შეუძლია სიმბოლურ სახეთა წვდომა-გააზრება, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარკვეულ ცოდნას ემყარება.

ნიკორწმინდის ქებათა ქება რწმენის ქებათა ქებაა, რადგან ტაძარი ქრისტიანული რწმენისა და სიყვარულის შესაკრებელია, ღვთის სხეულია. გავიხსენოთ სახარების ის ეპიზოდი, როდესაც მაცხოვარმა ტაძრიდან გამოყარა სხვადასხვა მოვაჭრე. იუდეველების კითხვაზე: „რასა სასწაულსა მიჩუენებ ჩუენ, რამეთუ ამასა იქმ?“ იესომ მიუგო: „დაჰხსენით ტაძარი ესე, და მესამესა დღესა აღვადგინო ეგე“. იუდეველებმა გაიკვირვეს, ორმოცდაექვსი წელი შენდებოდა და შენ სამ დღეში როგორ აღად-

გენო. მათ ვერ გაიგეს, რომ, როგორც იოანე მოციქული წერს: „იგი იტყოდა ტაძრისათვის გუამისათვისისა“. (იოანეს სახარება, 2. 19—21). მაცხოვრის სამ დღეში მკვდრეთით აღდგომამ მისი ეს ნათქვამი ყველასთვის ცხადი გახადა. ამრიგად, ეკლესიის ქებათა ქება ღვთის ქებათა ქებაა. ღვთის ხატად და მსგავსებად შექმნილი ადამიანის სხეულიც ხომ ღვთის ტაძარია, პავლე მოციქული როგორც წერს: „ტაძარნი ღვთისანი ხართ და სული ღმრთისაი დამკვიდრებულ არს თქვენ შორის“ (1 კორინ. 3.16). ტაძარი არის ადამიანის ღმერთთან „შეხვედრის ადგილი“. აქ ეზიარება იგი ქრისტეს უხრწნელ სისხლსა და ხორცს და სხვა უწმინდეს საიდუმლოებას. ისიც საგულისხმოა, რომ გალაკტიონი უბრალოდ კი არ აქებს ტაძარს, არამედ ქებათა ქებას უძღვნის, ეს კი სოლომონის ქებათა ქებას გაგვახსენებს, სადაც ღვთისა და ეკლესიის სიყვარულია განდიდებული. შემოქმედების ნიჭი ღვთისგანაა და არ არის გასაკვირი, რომ პოეტს შთაგონება უწმინდეს ადგილებთან მიახლებსას ეწვიოს. ლექსის სტრიქონი „ჩემთვის დიდებული სხივი გამობრწყინდა“ სწორედ ამ შთაგონებაზე მიაწინებს.

სხივი კი სულიწმინდის სიმბოლოა, საღვთისმეტყველო სწავლებით, ხომ სწორედ სულიწმინდის შთაგონებით წერდნენ ძველად ჰიმნოგრაფები და ჰაგოგრაფები. გავიხსენოთ, როგორ წერს გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელზე: „და ან არს ხელითა მისითა და სულისა წმიდისა მიერ დაწერილი საწელიწადო იადგარი“ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“).

„ქებათა ქება ნიკორწმინდას“ კი თავისი სულისკვეთებითა და რიტმით (განსაკუთრებით გამეორებებით) ჰიმნს მოგვაგონებს, ღვთის სადიდებლად აღვლენილს.

ლექსი გამსჭვალულია რწმენითა და ღვთის ხილვის წყურვილით.

ტოტალური ურწმუნოების ხანაში, გალაკტიონი ზეცად თვალაპყრობილი, ლოცვასავით წარმოთქვამს ნიკორწმინდის ქებათა ქებას. მეფისტოფელური, სულიერი გაორებისა და სულიერი სილატაკის ხანაში გალაკტიონი ცდილობს სულიერი სიმშვიდის მოპოვებას და იგი მზერას ნიკორწმინდის უმშვენიერეს ტაძარს ჩამოაყრდნობს. ამ ტაძართან სიახლოვისას გალაკტიონი გადის დროისა და სივრცის მიღმა და განიცდის ღვთაებრივს. მარადისობა აქ მთელი თავისი დიდებულებით წარმოჩნდება და პოეტს წარმავალი ყოფის უბადრუკობას ამალღებულობის ზეადმტაცი განცდით დააძლევინებს.

ქებათა ქება ნიკორწმინდას შეიძლება გავია-

ზროთ, როგორც ქართული კულტურის (ხელოვნების, ხუროთმოძღვრების და სხვა) ქებათა ქებაც.

ბალაკტიონი, ლექსის მიხედვით, თითქოს წარმოსახვაში თავიდან აბეზს ნიკორწმინდის „მკვიდრად ნაშენა“, მაგრამ სამოცრად ჰაეროვან სხეულს. მისი მზერა ძველადან ზემოთ მიივარდება, განწყობილება უფრო ზეანაშული ხდება და ნიკორწმინდასთან ერთად ცაში გაფრენის წყურვილი იზადება, რომ „ღაშთოს აქ ამაოება“ (ბარათაშვილი).

სწორედ ხელოვნება და ნიკორწმინდის ტაძარი ანიჭებს პოეტს თავისუფლებას, თუნდაც, კონკრეტულ დროსა და სივრცეში მიჯაჭვულობისაგან თავდასახსნელად. პოეტის ამ თავისუფლებაზე მეტყველებს ლექსის პირველივე სტრიქონი: „მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა“. ქნარი შემოქმედების სიმბოლოა, „როგორც მინდა“ კი — თავისუფალ შემოქმედზე მიმანიშნებელი. ეს თავისუფლება შეიძლება ორგვარად გავიგოთ: 1. პოეტის შინაგანი თავისუფლება. 2. მხატვრული სახეების თავისუფლება. ამ ორგვარ თავისუფლებას პოეზია ანიჭებს ფასსა და მნიშვნელობას. (პოეზია და საზოგადოდ ხელოვნება). საგულისხმოა, რომ სწორედ „დიდებული სხივის გამობრწყინებასთან“ ერთად უჩნდება პოეტს თავისუფლების შეგრძნება. ეს იმიტომაც, რომ ნიკორწმინდის შემყურე რწმენით იმსჭვალება, ასე რომ, აქ შეიძლება რწმენით მოგვრილ თავისუფლებაზეც ვიმსჯელოთ. „სცანით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტებამ გაგათავისუფლოს თქვენ“ (იოანე მოციქული). ტაძრის მაღალ კარიბჭესთან ამაოება ფერმკრთალდება და ადამიანის სული მაღლით იმსჭვალება.

ლექსში ნიკორწმინდასთან შეხვედრით გამოწვეული განწყობილებების გრადაციებია. როგორც ტაძარი მიისწრაფვის ზეცისაკენ, ასევე, მისი მხილველიც თანდათან თითქოს განიწმინდება ამ ტაძრის შუქით, მაღლით და ნელ-ნელა ისიც ზეცისკენ მიიზიდება. მკითხველის მზერაც ქვემოდან ზემოთ მიემართება და ხდება ერთგვარი „მომზადება“ ზეცასთან მისაახლებლად.

ლექსის პირველ სტრიქონებში გამოხატულ ტაძრის ხილვით გამოწვეულ აღტაცებას — „მკვიდრად ააშენა, ვინაც ააშენა და ცით დაამშვენა დიდი ნიკორწმინდა“ — შემდგომ გაოცება ცვლის — „ნეტა ვინ აზიდა, რა ხელმა აზიდა, ან როგორ აზიდა მაღლა ნიკორწმინდა“.

ასევე გაოცებულიყო ყაზბეგიც, ოღონდ სამების ტაძრის ხილვისას: „პირველსავე შეხედვაზედ კაცი განცვიფრებაში მოდის და ნებაუნებლივ თავის

თავს ეკითხება: საითგან მოუტანიათ ამ ჩინებულის შენობისათვის მასალა, ან რით მოუზიდნიათ? საკმაოა ამ შენობის ნახვა, რომ კაცმა გაიგოს, რა შეუძლიან ხალხის შეერთებულ ძალას და მათს ამალღებულს სულიერ მდგომარეობას“ („ხევისბერი გოჩა“).

გაოცებას კი სიამაყე მოსდევს: „რა განძი გვექონია, რა მხნე, რა მდიდარი“. პოეტი აღტაცებულია ტაძრის დიდებულებით და მას აღიქვამს, როგორც ცოცხალ არსებას, როგორც კონსტანტინე გამსახურდია ათქმევინებს თავის გმირს: „განა ქვაა სვეტიცხოველი? ქვაყოფილია იგი ამჟამად. უფრო უკვდავი, ვიდრე ასიათასი მოკვდავის სული“, იმიტომ, რომ დიდოსტატმა მას თავისი სული მსხვერპლად შესწირა, სული შთაბერა თავისი შემოქმედების ნაყოფს და ამ გზით მიემსგავსა უფალს. ამ მსხვერპლშენიერის გარეშე ვერ შეიქმნებოდა „ხელოვნების იგავმიუნვდენელი ქმნილება“. გალაკტიონის ლექსის მიხედვით, ტაძარი არა მხოლოდ კარგად და ლამაზად არის გამოკვეთილი, არამედ „სიბრძნით გამოკვეთილია“. სიბრძნეა ის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, რომელიც ხუროთმოძღვარმა წინაპართაგან მემკვიდრეობად მიიღო და ნიჭისა და მადლის წყალობით განავითარა და გაამდიდრა. ხელოვნების ღირებული ნაწარმოების შექმნისათვის აუცილებელია ნიჭი, მაგრამ თანვე მადლიც, განსაკუთრებით ტაძრის შექმნისათვის, რომელიც, უპირველესად, „ღვთის სახლია“, მადლის მისაღები ადგილია. ისიც ხომ ცნობილია, რომ ტაძარს განსაკუთრებულ, გამორჩეულ ადგილას აგებდნენ, სადაც ღმერთი მიანიშნებდათ.

პოეტის აღტაცებას იწვევს თორმეტი სარკმელი. თორმეტი ჰარმონიის სიმბოლოა, იესოს თორმეტი მოციქული ჰყავდა, ნელინადში თორმეტი თვეა, თორმეტი ზოდიაქოა და სხვა. თითოეული სარკმიდან ღვთაებრივი შუქი იღვრება („ცეცხლი მისარქმელი“), ამ ცეცხლში განწმენდის გარეშე ვერ იხილავ ღვთაებრივს. სულხან-საბას განმარტებით, ხომ „ღმერთი წვა და ხედვა“.

გალაკტიონი ტაძარს აღიქვამს, როგორც „ქვის ჰარმონიას“. ამ განწყობილებას, რა თქმა უნდა, უპირველესად, ბადებს ტაძრის ცალკეულ ნაწილთა სრულყოფილი ურთიერთშეთანხმება და გეომეტრიულ ხაზთა სინატიფე. ამასთანავე, რევაზ სირაძის აზრით, „ტაძარი მუსიკალური ესთეტიკის საუფლოცაა. მისი სივრცე მხოლოდ ფრესკათა განლაგებისთვის კი არ იგება, არამედ სიტყვისა და საგალობლის მოსმენისათვის“.

თითქოს რეალურობის მიჯნები ირღვევა, რადგან თაღები და სვეტები ისეა ნაგები, „სიზმრის გეგონება“.

ვინ არის ამ ტაძრის ამგები? — მისი სახელი, ისევე ჩაკარგულა ისტორიაში, როგორც სხვა მრავალი დიდოსტატისა. ეს სამწუხაროა, მაგრამ, იმავდროულად, ეს ანონიმურობა ტაძრის ავტორად მთელ ქართველ ხალხს აქცევს.

ისევ კონსტანტინე გამსახურდის ნათქვამი გავიხსენოთ: „ოცზე მეტი საუკუნის განმავლობაში არსებითად სამ რამეში ისახელა ქართველმა კაცმა თავი: ომში, მწერლობასა და ხუროთმოძღვრებაში. ხომ უცილოდ დიდია რუსთაველი და თანავარსკვლავედი მისი, მაგრამ არა ნაკლებად საამაყო ჩვენთვის ბოლნისის, ჯვრის, სვეტიცხოვლის, წრომის, ბედიას, მარტვილის, თიღვას და გელათის დიდოსტატები. მე ვწუხდი, რომ ასეთი შედეგების ხუროთმოძღვრებს დაინყებინ ჩრდილი მიჰფენოდით სახეზე, ამიტომაც წავატანე ხელი კონსტანტინე არსაკიძისათვის მკლავის მოკვეთის მშვენიერ ლეგენდას“. გალაკტიონიც თავისი ლექსით ხოტბას შეასხამს ნიკორწმინდის შემქმნელ დიდოსტატს და მისი სახით მთელ ქართველ ხალხს, მის მდიდარ შემოქმედებით ნიჭსა და უნარს. ლექსის მიხედვით, ნიკორწმინდის ამგებმა ტაძარი არა მხოლოდ მკვიდრად ააშენა და ცით დაამშვენა, არამედ, გზების დამკარგავი გრძნეული ჩუქურთმებით შეამკო, თორმეტი სარკმელში „ცეცხლი მისარქმელი“ დაანთო და „წლებს გადაანდო“ დიდი ნიკორწმინდა.

ტაძრის მოქნილი და მკვეთრი, დასრულებული, ნაზი და ჰაეროვანი ხაზები პოეტში ჰაეროვანი ნაქარგის შთაბეჭდილებას იწვევენ. ეს ყოველივე კი მიუწვდომელთან მიახლებას, ნატვრის ასრულებას ემსგავსება. გუმბათის ყელი, „მაღალღეროვანი, ცამდის აღერილი, ნებით აღერილი, სათნოდ აღერილი“ პოეტის აღტაცებას აგვირგვინებს.

უმთავრესი კი ისაა, რომ ტაძრის მზერა ქართულია. მასში ქართველი კაცის რწმენა, დიდსულოვნება, ამტანობა, მადლიანობა, ნიჭიერება, სასოება და სიყვარული ირეკლება. ტაძრის კედელზე გამოსახული ფრთიანი ფასკუნჯები ზღაპრის რეალობაში არწმუნებენ პოეტს და მინიდან მოწყვეტის, ზეცაში გაფრენის წყურვილს უჩენენ.

ეს ხელოვნება საქართველოს უკვდავების დასტურია, ამიტომაც სჭირდება მას მოვლა, პატრონობა და გაფრთხილება. ლექსი სადიდებელ ჰიმნს ჰგავს. ამის განცდას ამძაფრებენ შვიდმარცვლიანი სტრიქონები, რომლებიც ქების რიტმს ქმნიან, ხოლო შერეული რითმები მელოდიურობის განცდას იწვევენ. რვა სტრიქონად დაყოფილი სტროფების ბოლო სტრიქონები ვარიაციული გამეორებით წარმოაჩენენ ნიკორწმინდას, როგორც „დიდს“, „მძლავრს“, ნათელსა და მაღალს.

ლექსის მუსიკალობას ამძაფრებს ერთი ასეთი სტრიქონიც: „**უფერს ქვის ჰარმონია, დარობს რამდი დარი**“. რას უნდა გულისხმობდეს „**რამდი დარი**“? ამასთან დაკავშირებით რეზი თვარაძის ერთ ინტერვიუში აი, რა ამოვიკითხეთ: „ძნელი სათქმელია. შესაძლოა გულისხმობდეს იმასვე, რასაც „დოვინ — დოვენ — დოვლი“ („მოვა, მაგრამ როდის?“), ესე იგი — სიტყვის თამაშს მხოლოდ. მაგრამ ამგვარი მოსაზრებაც გამოითქვა (მ. ალავიძე): „რამდი“ არისო იმერეთში გამოყენებული დიალექტური სიტყვა, რომელიც ნიშნავს „ვიდრე“, „ვიდრემდე“, „სანამ“ (მე პირადად, „რამდი-ს“ პარალელურად, „რამდი-ც“ გამიგონია ქვემო იმერეთში). ესე იგი: „**დარობს რამდი დარი**“ — „სანამ (ვიდრე, ვიდრემდე) დარი დარობს“ (ამ მოსაზრებას მხარი დაუჭირეს ლ. ბრეგვაძემ და თ. დოიაშვილმა)“.

ზურაბ სარჯველაძე ყურადღებას აქცევს ამ ძველქართულ სიტყვებს: „გალაკტიონ ტაბიძე ძველი ქართული ენის ჩინებული მცოდნე იყო. ეს არაერთხელ გამხდარა სპეციალისტთა ყურადღების საგანი“.

„შენის სულმნათისად
ასვლა ეროვანი,
ყელი გუმბათისა
მაღალღეროვანი“.

ძველ ქართულში გვხვდება „აეროვან“ სიტყვა და იგი ბრწყინვალეს ნიშნავს: „მოსე, რომელმან ილოცა, აეროვან იქმნა პირი მისი“ (სინ.მრავალთ. 114,12).

„**ეჩუენნეს მათ აეროვნითა ხილვითა, რამათუ აეროვნითა ხილვითა მით დაემტაცოს აღდგომანი იგი**“ (კლარჯ. მრავალთ. 228.31-32). დასტურდება ამ სიტყვის „**ჰაეროვან**“ ვარიანტიც „**ვითარცა დიდებულ და ჰაეროვან იპოვა პირი ნინაშე თუალთა ჩემთა**“ (1მეფ.26.24).

უნდა აღინიშნოს, რომ „**ეროვან**“ სიტყვას ბრწყინვალის მნიშვნელობით იყენებდა ალექსანდრე ჭავჭავაძეც „**საგლოვო ნაშთნი შენობათა კვლავ ეროვანთა**“ („გოგჩა“).

„**გზნებით დამკარგავი
გრძნეულ ჩუქურთმებით**“.

გალაკტიონისეული „**დამკარგავისთვის**“ ძველქართულისებური მნიშვნელობაა ამოსავალი. „**დამკარგავი**“ ნიშნავს — დამნებსელი, მომრთველი, შემამკობელი“. („გალაკტიონოლოგია“, II, თბ. 2003. გვ. 243-244).

გრიგოლ რობაქიძე იმდენად გამორჩეულად მიიჩნევდა გალაკტიონის ლექსთა მელოდიურობას, რომ მას გალაკტიონურს უწოდებდა. ამ თვალსაზრისით,

განსაკუთრებულად მიაჩნდა „ქებათა ქება ნიკორწმინდა“. რობაქიძე წერილში „გალაკტიონ ტაბიძე და მისი „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ წერს: „**ტაბაქა-ბის ერთიმეორეზე მიჰოვება გალაკტიონის შაირში არ ჰბავს არც შავთელურს და არც ჩახრუხაულს. იგი გალაკტიონურია და ამ სახელით შივა ქართულ ჰოეზიაში**.“

გრიგოლ რობაქიძეს თავისი სიტყვების დასტურად წერილში მოჰყავს გალაკტიონის ლექსიდან სტრიქონები და აღნიშნავს: „ძნელია ამ შაირის ხმამოუღებელი ნაკითხვა. წარმოთქმას მოითხოვს. ინყებ წარმოთქმას: მიჰყვები ზეყვანილი რიტმიულ დენას მისსა, რომელშიც თანდათან მეტი და მეტი ქანი ეძლევა. მიჰყვები ტანის რხევით და ისე: თითქოს რიტუალურ როკვაში გადადიოდე. ჰიმნი მიმართულია შენობისადმი ტაძრისა. შეიძლება თუ არა ჰიმნით მივმართოთ რაიმე სხვა შენობას, არა ტაძრისა მაგალითად: შენობას თეატრისა, ან მუზეუმისა, ან კლუბისა, ან უნივერსიტეტისა? არა მგონია: სასაცილო იქნება პირდაპირ. ტაძარი სრულიად სხვაგვარი შენობაა: იგი საყდარია მარადის, უზენაესის: „საყუდარი“ მისი და ჰიმნი მის მიმართ არა თუ მართებულია მარტო.

ეს ერთი მხარე. ახლა მეორე. „ნიკორწმინდაში“ არაა ხსენება: არც ხატის, არც ჯვარის, არც წირვის, არც ლოცვის — ყოველი ეს გულვებულება მასში: ხატიც, ჯვარიც, წირვაც, ლოცვაც. (ურწმუნონიც დამეთანხმებიან, რომ ამ შაირის შექმნა შეეძლო მხოლოდ ღრმად მორწმუნეს). ართქმული აქ გულისთქმაა უსიტყვო, რომელშიც შაირის გაშლისას ატმოსფეროდ იფინება. იფინება ხსენებით ნიკორწმინდისა. გულვებულს მგოსანი შენობაში ხედავს: ვითარ ტანქმნილს. ხედავს და: იხიბლება მით. მოდის ალტაცებაში და: ხოტბით ეფრქვევა მას. ხოტბა აქ უშუალოდ აღმომხდარი ძახილია: ექსტატიური. კონკრეტ-სახვა მას კიდევ დაამძიმებდა. სიტყვას სიტყვა მოსდევს. თქმა თქმას: არანაირებული განმეორებით, მოჰქროლავს „გალაკტიონურ“. შაირი მამულიშვილური გახარებით თავდება:

„**ბრწყინავს საქართველოს ქებად ნიკორწმინდა**. დიდი ოსტატობით არიან აქ შერწყმულნი შინა-არსი და ფორმა ერთიმეორესთან. გრიგოლ რობაქიძე ამ ლექსისადმი ალტაცებას ასე აგვირგვინებს: „**შედევია ეს ლექსი, ნამდვილი შედევრი. სხვა რომ არაფერი შეექმნა გალაკტიონს, ესეც საკმარისი იქნებოდა, რომ იგი შესულიყო ქართული ჰოეზიაში, როგორც დიდი ოსტატი**“.

მაია ჯალიაშვილი



ჩუქურთმეუბი გაცოცხლებული ქვის ჰარმონია

მათი „გვირგვინები აქვთ ოღნავ მსგავსი“

მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა ძალიან მდიდარია. ჩვენ, ერთ-ერთ წერილში ვწერდით, რომ ეს პერიოდი ქართული კულტურისათვის იყო უახლესი ქართული რენესანსი. იმ დროს ქართული მეცნიერება უმაღლეს მწვერვალზე აიყვანეს დიდმა მეცნიერებმა. ქართული კულტურა ყველა მიმართულებით მდიდარი იყო გენიალური ავტორებით: **მწარმოებელი:** გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ლევან გოთუა, ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ლეო ქიაჩელი, შალვა დადიანი, ოთარ ჭილაძე, გურამ დოჩინაშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი და სხვები. **პოეზიაში:** ვალაკტიონ ტაბიძე, ტიცვიან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიანი გუნია, გოგლა ლეონიძე, ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი და სხვები. **ქანდაკებაში:** ელგუჯა ამაშუკელი, მერაბ ბერძენიშვილი და სხვები. **მხატვრობაში:** ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, ავთანდილ ვარაზი, დავით კაკაბაძე და სხვები.

თეატრში: კოტე მარჯანიშვილი, თემურ ჩხეიძე და სხვები. **კინემატოგრაფიაში:** რეზო ჩხეიძე, თენგიზ აბულაძე და სხვები. ასევე დიდი მსახიობები, დიდი მომღერლები, მუსიკოსები... (ბევრი გამომრჩა და მაპატიეთ).

დღეს გვინდა ორი დიდი შემოქმედის, ვალაკტიონისა და კონსტანტინე გამსახურდიას ერთგვარ მსგავსებაზე გავისაუბროთ. უფრო სწორად, მათი ორი ნაწარმოებების იდეურ მსგავსებაზე.

ჩვენთვის, ქართველებისთვის, ჩვენი დიადი წარსული, ჩვენი კულტურა, ჩვენი ტაძრები არის წმიდანთაწმიდა და ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენს ცხოვრებაში (მომავალთან ერთად, რა თქმა უნდა). ხშირად, ჩვენი ძველი დიდებული კულტურის ძეგლები ახალ ქებას ითხოვენ ახალი შემოქმედებისაგან, რათა მომავალმა თაობამ კიდევ ერთხელ და უფრო უკეთესად დაინახოს და შეიგრძნოს მათი სიდიადე.



რასაკვირველია, ყველა ქართველისათვის ნაცნობი და მნიშვნელოვანია სვეტიცხოვლის დიდი ტაძარი, „სადაც საქართველოს ცხელი გული ასვენია“ (ლადო). თუმცა, ალბათ, ვერავინ გადმოგვცემს სვეტიცხოვლის მშენებას ისე მაღალმხატვრულად, როგორც ეს გააკეთა კონსტანტინე გამსახურდიამ:

სვეტიცხოვლისათვის „თვალის შევლება ყოველ დროში სანუკველია; დილით ხვლიკისფერია იგი, მოულალავი მზით გაშუქებული, შეღამებისას ოქროცურვილია, ხოლო მწუხრის შემოდგომისას, თუ ვარსკვლავიანმა ცამაც დაადგა თვალი, ცას მიეჭრება მისი მრუდე ჰარმონიით აღვსილი ხაზების ხესწრაფვა.“

რაც უნდა ბრწყინვალე არქიტექტორი თუ ხელოვნებათმცოდნე იყოს ადამიანი, ალბათ, ასე მეტყველად და ლამაზად ვერ გადმოგვცემს სვეტიცხოვლის მშენებებს, როგორც ეს შეძლო კალმის დიდოსტატმა. თანაც, მაშინ, როდესაც ღამით სვეტიცხოველს არავინ გაანათებდა პროექტორებით (ახლა, ღამით, გაჩახახებულს ვხედავთ ჩვენს სიამაყეს), როცა არავინ ასწავლიდა სკოლაში ბავშვებს რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ისტორიისათვის სვეტიცხოველს (ახლა, მაღლობა ღმერთს საქართველოს ისტორიას ასწავლიან სკოლაში).

„დიდოსტატის მარჯვენა“ მონუმენტური ნაწარმოებია საქართველოს გაერთიანების იდეის გამომხატველი. მასში კიდეც სხვა არა ერთი იდეაა ღიად თუ შეფარვით გადმოცემული: საქართველო რომ არ უნდა იყოს „ერთმორწმუნე“ იმპერატორზე და ბიზანტიაზე დამოკიდებული, არც პოლიტიკურად, არც კულტურულად, არც არაფრით. მოდი, ნუ დავაკონკრეტებთ ქვეტექსტს. ის უფრო ზოგადი და ჭკუის სასწავლია, ვიდრე ერთი ნაკითხვით შეიძლება გავიგოთ.

ქვეტექსტი ამ იდეისა ჩვენი ისტორიული მიზანსწრაფვაა, რომელსაც მხოლოდ დიდი მწერალი თუ გადმოსცემდა ისე, რომ ახალგაზრდებს გულში ჩაბუდებოდათ, იმ დროს, იმ რეპრესიების ეპოქაში;

ნაწარმოებში ნათქვამია ისიც, რომ, სისუსტეები ყველა ადმიანს აქვს, მაგრამ, მთავარი ქვეყნის ერთგულებაა; ხელოვნების დანიშნულება და სხვა. საერთოდ, სვეტიცხოვლის იდეა არის საქართველოს იდეა (კვართი, სიღონისა საფლავი, სვეტი ცხოველი, ერთიანი სახელმწიფო, საკათედრო ტაძარი და სხვა). სვეტიცხოველის იდეას განმარტება და ქება სჭირდებოდა იმ დროს. ბევრი მკითხველი, რომანის ნაკითხვის გამო დაინტერესდა სვეტიცხოვლის ტაძრით და კიდეც უამრავი რამ აღმოაჩინა იქ.

ზოგს და მათ შორის სხვა დიდ ქართველ მწერალს, ზოგიერთი პასაჟი არ მოსწონდა „დიდოსტატის მარჯვენისა“, მაგრამ, მის მაღალმხატვრულობას არ უარყოფდა. თუმცა, თვითონაც განიცდიდა დიდი პოლიტიკის გავლენას უცხოეთში. ისე, არც მას და არც კონსტანტინეს დასაყვედრი არაფერი აქვთ, რაც შეეძლოთ კონკრეტულ სიტუაციაში, მაქსიმალური გააკეთეს, ვითარცა ერის წინამძღვრებმა.

იქნებ მართლაც, შეიძლება, ზოგიერთი პოზიციიდან არ მოეწონოს ვინმეს აღნიშნული ნაწარმოები, მაგრამ, მან ქართველთა არა ერთი თაობა გამოზარდა ქართულად (სხვებთან ერთად). თანაც, ეს რომანი ხომ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები არ არის. იმ პერიოდში, ფაქტობრივად ყალიბდებოდა ქართული ისტორიული რომანი. იდგა 1938 წელი... ვასილ ბარნოვი გარდაცვლილი იყო, მიხეილ ჯავახიშვილი მოკლული, ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“ ჯერ არ დაენერა... ასეთ



დროს ქართული ხელოვნების უდიდეს ქმნილებაზე, სვეტიცხოველზე შეიქმნა რომანი...

ნიკორწმინდა ბაგრატი III-ის მეფობის დროს აშენდა 1010-1014 წლებში. ბაგრატი III პირველი მეფე იყო გაერთიანებული საქართველოსი. სადაც ნიკორწმინდის ტაძარი აშენდა, პროვინცია იყო ერთიანი სამეფოსი. მაგრამ, პროვინციებშიც და კუთხეებშიც განსაკუთრებულად მშვენიერი ტაძრები შენდებოდა, რომელიც არ იყო მხოლოდ რელიგიური დანიშნულების, მათ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც ჰქონდა.

დასრულდა ნიკორწმინდა და იმ წელსვე გარდაიცვალა პირველი ხელმწიფე გაერთიანებული საქართველოსი. სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობა ბაგრატი III-ის მემკვიდრის, გიორგი I-ის მეფობის პერიოდში დაიწყო, მცხეთაში, რომელიც სულ რაღაც 12 წლისა გაიშენდა, სულ 13 წელი იმეფა, მხოლოდ 25-26 წლისა მოკვდა, მაგრამ, არა ერთხელ შიშის ზარი დასცა ბიზანტიის უძლეველ კეისარს. მეტსაც უზამდა ბულგარელების გამანადგურებელ მტარვალს, რომ არა ღალატი. მცხეთა არ იყო მაშინ დედაქალაქი, არც თბილისი. იქვე ყურისძირში, თბილისში, არაბი ამირა იჯდა. მაგრამ ქართული იდეოლოგია ისწრაფოდა ქვეყნის გაერთიანებისთვის და არაბ ამირას ამგვარი გრანდიოზული ტაძრითაც აშინებდა, ხოლო ქართველებს იმედს აძლევდა.

1947 წელს დაიწერა გალაკტიონის „ქებათა ქება ნიკორწმინდას“. ნიკორწმინდის ტაძარი, იმ პერიოდში მხოლოდ ისტორიკოსებმა, სპეციალისტებმა, რაჭველებმა და საზოგადოების ერთმა ნაწილმა თუ იცოდა რა იყო, სად იყო და როგორ იყო. რაც ყველაზე უცნაური შეიძლება მოეჩვენოს ადამიანს, გალაკტიონსაც არ ჰქონდა ნანახი ნიკორწმინდა. მას ერთმა ნიკორწმინდელებმა მოხუცმა დურგალმა, ნიკოლოზ ვაჩაძემ უამბო ნიკორწმინდის ჩუქურთმების, 12 სარკმლისა და საერთოდ, აღნაგობისა და დიდებულების შესახებ (იქაურები განთქმულნი არიან დურგლობით). გალაკტიონი იმდენად აღფრთოვანდა დურგლის დეტალური მონათხრობით, რომ შეპირდა ნიკორწმინდაზე ლექსს დავენერო. „მე ეს დაპირება შევასრულე, ვინაიდან მე

ჩვეული არა ვარ დაპირების არ ასრულებას. სახალხო პოეტების სიტყვა ყოველთვის საქმეა. იმ დღესვე დავწერე „ქებათა ქება ნიკორწმინდას“.

პოეტის გენიამ ნიჭიერი დურგლის გადმოცემით და ალბათ, ნიკორწმინდის აღმშენებლის მიერ საუკუნეების წიაღიდან გამოსხივებული ტალანტით, ისე განჭვრიტა ნიკორწმინდა, თითქოს თვითონ ყოფილიყო მისი შემოქმედი ან თანაზიარი შემოქმედისა. რა თქმა უნდა, ნიკორწმინდის ტაძრისა და ჩუქურთმების ავტორები ხომ ზეგარდმო ნიჭით მაღლმოსილნი იყვნენ

„მე ეს დაპირება შევასრულე, ვინაიდან მე ჩვეული არა ვარ დაპირების არ ასრულებას. სახალხო პოეტების სიტყვა ყოველთვის საქმეა. იმ დღესვე დავწერე „ქებათა ქება ნიკორწმინდას“.
გალაკტიონ ცაბიძე


ნენ გალაკტიონივით. ერთი კია, ნიკორწმინდას რაღაც „აკლდა“, და ეს რაღაც იყო „ქებათა ქება“.

გალაკტიონმა უნახავად დაინახა და გადმოსცა ჩუქურთმების პოეტური აღმადგენა, „ქვის ჰარმონია“. კონსტანტინემ კი მონუმენტური ნაწარმოები უძღვნა გრანდიოზულ, მონუმენტურ და ჰარმონიულ სვეტიცხოველს, „ქვაში ჩაკირული საიდუმლო“ გაამჟღავნა. ანტირელიგიურ სახელმწიფოში, გალაკტიონის მიერ „ქებათა ქება ნიკორწმინდის“ შექმნის მერე, ბევრმა, კიდევ უფრო კარგად გაიგო ნიკორწმინდისა და საერთოდ, ტაძრების, მნიშვნელობა. ამ ორი გენიოსის მერე უფრო „ქართულია მზერა“.

როგორც ნიკორწმინდასა და სვეტიცხოველში არის რაღაც მსგავსება, ორივე ტაძარი პირველი ქართული რენესანსის პირმშობებია, ასევე, რაღაცით მსგავსნი არიან გალაკტიონი და კონსტანტინე, III ქართული რენესანსის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენლები. მათ „გვირგვინები აქეთ ოდნავ მსგავსი.“

გია მაგალაქაძე

სიხარული



გივი სიხარულიძის წიგნის წარდგენა შვეიცარიაში

შვეიცარიაში ქალაქ ლუგანოში გაიმართა გივი სიხარულიძის ფრანგულად ნათარგმნი წიგნის „ანწყვეტილი სიცოცხლე“ წარდგენა. შეხვედრამ თბილ ატმოსფეროში ჩაიარა, ისე, როგორც თავშეკავებულ შვეიცარიელ ადამიანებს ეკადრებათ, რადგან იმ ორი პიროვნების გარდა, ვინც ეს შეხვედრა მოაწყო, წიგნი წაკითხული არავის ჰქონდა. შეხვედრას დაახლოებით ორმოცდაათამდე ადამიანი ესწრებოდა. მწერალმა ისინი ფრანგულ და რუსულ ენაზე გამოცემული საკუთარი წიგნებით დაასაჩუქრა.

მეორე დღეს მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წაკითხულით აღფრთოვანებული ეს თავშეკავებული ინტელიგენცია მწერალს მობილური ტელეფონით უკავშირდებოდნენ, შეხვედრას და სამახსოვრო ავტოგრაფებს სთხოვდნენ.



ჟურნალი „რაჭველები“ იწყებს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევების მიმოხილვას, რომელიც ეხება რაჭის წარსულს. ჩავთვალეთ, რომ ამ რუბრიკის გზამკვლევი უნდა ყოფილიყო აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც 1919-1920 წლებში იმობზაურა რაჭაში და მომავალ თაობას ოქროს ფონდის სახით რაჭის ეროვნული სიმდიდრე შემოგვინახა.

მაშ ასე, ვინცაბთ 1919-1920 წლის არქეოლოგიური მოგზაურობის დოკუმენტების ბეჭდვას, რომელიც დიდად საყურადღებო ფაქტებს გვამცნობს ზამო რაჭაში განთავსებულ არქიტექტურულ ძეგლებზე, მოხატულობაზე, ოქრომჭედლობის ნიმუშებზე და ხელოვნების სხვა ნივთებზე, წარწერებზე და მათში მოხსენიებულ ისტორიულ პირებზე.

ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომებზე დიდი წვლილი შეიტანეს რაჭის ისტორიული წარსულის კვლევაში.

ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში

(დასაწყისი იხ. ჟურნალ „რაჭველები“ N5,6)

6. მაცხოვრის ხატი კარედი, მომცრო, კარებებზე წარმოდგენილია წამლით შესრულებული მთავარანგელოზები. მარცხნივ „მქლ“ (მიქელ), მარჯვნივ „გბლ“ (გაბრიელ). შიგნით ზემოთ გამოსახულია ქრისტე წელამდე, წამლით შესრულებული, წარწერით ΓC, გარშემო მოჭედბილობით.

ხატის ზურგზე, მოოქროვილი ფირფიტა შემკობილია ჯვრის სახით და ასომთავრული წარწერით:

ქ მ ს დ რი
კენ ცანი ვთრ: კამრ
ნი ჩ და
გარდმედ (სიც) ძებდ შცთმი
ლთ ჩვნცა შეძენ ცხვრნი ნ
მდლნი მრნ და ნთლ
ითრთ ჩნთ: ართა
არს მქნლო ჯ
რცს ხტო
უქარაგმოდ:

„ქრისტე (რომელმან) მოსდრიკენ ცანი ვითარ კამარანი, ჩვენდა გარდმოედ ძიებად შეცდომილთა, ჩვენცა შეგვძინე ცხოვარნი წ(მიდანი) მადლნი, მირიანს და ნათელითურთ ჩვენით, არსთა არს მქნლო ჯვარცმისა ხატო“.

7. ჯვარცმის ხატი, ზომით 24X19 სმ; ესეც წამლით დახატული. წარმოადგენს ჯვარცმას, მაგრამ ძალიან დაზიანებულია.

თვით ჯვარცმას მარგალიტის მძივი უვლის, ზემოთ ლალის ქვა ამშვენებს. ხატის ზურგზე ჯვარია გამოსახული და აქეთ-იქით ასომთავრულით უწერია:

+ მელი რ
ის ჯვრ ს: ჩნთვ
ე ღთო: ჩნო: მეოს მე ეცვი: ქ
ევ ქრელ ის ძესა
მირიან ს: და ცო
ლს ა ჩ
მ სა

უქარაგმოდ:


„ქრისტე, რომელი ჩვენთვის ჯუარს ეცვი. ქრისტე ღმერთო ჩვენო მეოხ მეყავ ქრელის ძესა მირიანს და ცოლსა ჩემსა“.

8. მაცხოვრის ხატი, 27X18,5 სმ, ყოფილა ფერადი დახატული, ეხლა გაფუჭებულია. შეჭედილი ყოფილა ოქროფერილი ვერცხლით. გვიანი დროისა. მაცხოვარს აწერია: ი: ქე. ზურგზე მხედრული წარწერაა:

ქ: შ ი: რომელი: მოხვედ: პირველი: ცთომისა: და ხსნად: იესო: ძეო: ღთისა: ცხოველისაო შემინყალე: მე: ერისთვის: შვილი: ხოსია: რომელმან: ელვყავ: მკობად: ხატისა: ამის: შენისა: რათა: ღირს მყოთ: მე: მარჯვენით: შესსა: დადგრომად: დღესა: მას: დიდსა: განკითხვისასა: ამინ: მაცხოვარო: მშვიდობით: დაიცევ: ერისთვის: შვილი: ქაიხოსრო: ამინ: წარწერა ეკუთვნის XVI-XVII საუკ.

9. მაცხოვრის ხატი, 21X16,5 სმ, ყოფილა წამლით დახატული, მხატვრობა მოშლილია. მოყვითლული ვერცხლის ამიები შემკობილია ლურსმულის მსგავსად. წარწერა მაცხოვრისა: ΓC X C.

ქვემოთ ასომთავრული წარწერა: ქე ღთო მფარვლ მქმნ მოსც[



შნსა მემნსა; აქ და მასა უკნ[ესა]

უქარაგმოდ:

„ქრისტე ღმერთო მფარველ მექმენ მოსავსა შენსა მემნსა, აქა და მას საუკუნესა“.

10. მთავარანგელოზ გაბრიელის ხატი მოოქროვილი ვერცხლისა, 31,5X23,5 სმ წარწერით: ნჲ გლ-

გაბრიელი ზეზე დგას ბურთით ხელში და ლაბარუმით. ამიები შემკობილია ფოთლების მსგავსად, დაზიანებულია. ქვემოთ შერჩენილია ხვეული ასომთავრული ლამაზი წარწერა:

ნ გლ: მეოხ: ეყ
ვ: ნნსა: თვ`დდშ[ლსა?]
უქარაგმოდ:



„წმიდაო გაბრიელ, მეოხ ეყავ ნენიასა თავდიდის შვილსა (ანუ თავდიდაის-შვილსა)“.

11. ხატი ღვთის მშობლის ხარებისა, ლამაზი ნახელავი მოყვითლულის ვერცხლის აშიებით და წარწერით ხარება; დახატულია ფერადებით, იყოფა ორ ნაწილად. ზემოთ მარჯვნივ ღვთის მშობელი სკამზე მჯდომარე, შემკობილი შარავანდედით, რომელსაც ზემოთ უზის მოყვითლულ ფენგებზე ორი ძვირფასი ქვა, ხელში დადებული აქვს წიგნის მსგავსად გაშლილი რვეული (?). მარცხნივ მთავარანგელოზი სრულის ტანით. ქვემო ნაწილზე ორი მხედარი სრულის ტანით შუბით და ფარით, მარცხნივ (წა) მწამე დიმიტრი (?), მარჯვნივ წ მოწამე კოსტანტინე წარწერებით სახელისა. ზემოთ პატარა მედალიონში წელს ზევითი მაცხოვარია, რომელიც აკურთხებს ორივე ხელით.

12. ბარძიმი ვერცხლისა, მხედრული წარწერით.

ქ. მოიხსენე უფალო: დედოფალი მარიამ.

13. თეფში ვერცხლისა, წარწერით:

ქ. მოიხსენე: უფალო: ბატონიშვილი: დარეჯან.

ქ. მეფის ქალის: დარეჯანის: არის:.

14. ფეშხუმი ვერცხლისა, წარწერით:

ქ. მოიხსენე: უფალო: ბატონიშვილი: დარეჯან:

15. ვარსკვლავი და კოვზი, ვერცხლისა.

16. ოლარი მოქარგული. წმიდანების სახეებით და შემკობილი ძვირფასი ქვებით. ზემოთ მაცხოვრის გამოსახულება და ხარება. ქვემოთ ხუთი წყვილი სურათი სხვადასხვა წმინდანებისა, სულ ათი.

17. საცეცხლური ვერცხლისა.

18. ორი პატარა ვერცხლის დოქი.

19. ჩაფხუტი რკინისა

20. ენქერი ნაკერი.

20. სახარება, სორის ეკლესიიდან ჩამოტანილი, ეტრატზედ 28X17,5 სმ. ნაწერია ორ სვეტად, ნუსხახუცურით ხელით, სულ დაშლილია, ფურცლებ-არეული და დასვრილი. ამოვიღე ნაგავიდან, სორის ეკლესიაში, რომელიც ებარა სრულიად უვიც მნათეს და უყურადღებოდ იყო დატოვებული. ყდა დამპალია. შენახულა მხოლოდ მისი სამი ნატეხი და თითბრის საბმული. სახარება შემკული ყოფილა საუცხოვო, ფერადოვანი კამარებით (დაცულია მხოლოდ ერთი, გასვრილი კამარა) და ოთხი მახარობელის სურათით. ამათგან დაცულია ორი: ლუკასი და იოანესი. ლუკა ზის საწიგნეს წინ, გაშლილი სახარებით, რომელზედაც ორ სვეტად სინ-

გურით უკვე დანერილია დასაწყისი მისი სახარებისა (ნუსხა-ხუცურით). იოანე უკარნახებს პროხოვრეს, რომელსაც უკვე დაუნერია პირველი სიტყვა მისი სახარებისა. ზემოთ, კუთხეში ჩანს მაკურთხეველი ხელი უფლისა. ყოველი სახარების დასაწყისში არის პატარა სამკაული თავსართი — ოთხკუთხედი, ფერადი შენახატი, რომელზედაც სინგურით სწერია, თუ რომელი მახარობელის თავია.

თითოეული სახარების პირველი მეთაური ასო შემკულია მინიატურული კაცის სახეებით, ლამაზი ხელობისა. მათეს სახარების დასაწყისი და მისი სამკაული ყველაზე უფრო გასვრილია.

ჩვეულებრივი მეთაური ასოები ზოგი შავი მელნით არის ნაწერი, ზოგი სინგურით. სახარებას ბოლოში ჰქონია სარჩევი. სულ დაცულია 206 კაბადონი. ამათში ორი სხვა ხელთნაწერი სახარებისა არის, ისიც გაფუჭებული.

იოანეს სახარების ბოლოს, ტექსტის ხელით სწერია:

ჟ. ყ`დ წ`ო სმბო ღთ`ო ჩ`ნო
მეოს`ბითა ყ`დ წიდისა ღ
მრთის მშობ`ლისთა:
და ძალითა ცხვლ`ს მე
ო`ფლისა პტ`სნისა ჯ`ათა
მხბითა წ`თა მთვ`რნგზ
თათა. და წ`დისა ი`ნე
ნთ`ლის მცემლისათა
და მხ`ბითა წ`თა მასა
რებლთა და ღთ`ის მეტ
ყჰულთა. მათე. მა
რკოზ. ლუკა და ი`ნეს
ითა: და ყლ`თა წ`თა
შ`ნთა ვედრ`ბითა ა
დიდე და დაცევ ყლ`თა
გნ ვნებათა სლ`რთა
და ჯორცლ`თა ვარდ
ან, ავლეველი. მ
ადიდებლ`დ ღთ`ბისა შნი
სა. რ`ნ სიყუარული
თა შ`ნითა აღმანერი
ა წ`ე ესე ოთხთავი
მლოცველ`სა მთ`სა. უ
ნდოსა არსენის: —
და მე ვარდან ძემ`ნ კო
სტანტისმან სალოცვ

ელად სლ`ისა ჩი`სათ`ს
და მოსასენბ`ლდ სლსა
მშობ`ლთა ჩმ`თა და შვი
ლთა და მომავალ
თა ჩ`ნთა ყლ`თათ`ს: და
ვდეგ მონასტერსა
ჩ`ნ`სა სამარხეოსა და
სამლოცველოსა ჩ`ნ
სა, სყ`დარსა წდ`ისა
თევდორესსა: გვ`ე
დრ`ბი ყლ`თავე მდღუ
ლთა და დკ`ნთა და ყ`თა
მონესეთა რ`ა ღც`ვით
მოქსენებოდის ყლ
თაგ`ნ სლ`ი ჩი`ი ჟ`ა სას
არებისა წარკითხ
ვისსა და ყ`თა ღცვა
თაცა ზ`ა: ვინ რათა
ცა მიზნითა იკადროს
და ლყოს გ`ნჰუშბ`დ
ამისსა წიღ`ით
ეკ`ლსთ ჩ`ნით
კრ`ლმცა არს პირითა
ღ`თა და ყ`თა წ`თა მა
დლითა და ამით ოთხ
თვ`ითა ან: —

იოანეს სახარების სარჩევის დასასრულს სწერია:

ო`ო ი`ვ ქ`ე ძეო და სტე`ო
ღთის`ო შეინყ`ლეს
ულით და ორციო
ვარდან ავლევ
ელი:
მეორე სახარების სარჩევის ბოლოს:
ო`ო ი`ვ ქ`ე ძეო და სტყუა
ო ღთ`ისა ცხოვ`ლისო
ადიდე სლ`ითა ორც

თა თანა: პტრნი ჩი

ვარდან, ავლევილი: —

მარკოზის სახარების სარჩევის ბოლოს XIV საუკუნის მომსხო მხედრული ასოებით სწერია:

ქ.: არის: ძველთაგან: მონასტრისა: საქონებელი: გადაში მისითა: შესავლითა: და მიქონებია: წყს მალე-ქმანიძე და გოგინაძე: მისითა: ერთი: ზვარი: მერცხა-ლა: მონასტერს:

ალექსის: სეული. მისითა: დებურელელი: მისითა:

ერთი: ყანა: ბალაურისა: ნახევარი: ესე: პირველად მონასტრისა: ყოფილა: და ან: ახლად: მე: ერი-სთავსა:

ბედანს: დამიმტკიცებია: და ვინცა: გამოახვას: იგი მცა: რისხავს: ან: წინამძღვარი: დამიყენებია და მისით პირი თა: მონასტერსა: ამსახუროს: თუ: მან: რამე: დაგაკ-ლოს ჰკითხე: ჩუენ: არას: გვემართლები: წყრომასა:

ამას ზემოთ სხვა, უფრო წვრილი მხედრულით:

ქ: ესე: წიგნი: ჰკადრეთ: და მოგახსენეთ: ჩუენ

ერისთავმან: ლომინამან და ჩემა ძმამა

ქაიხოსრო: მას: ჟამსა. როდეს: მოკითხულ

ვქენით: რაცა: ბედანის: ალაპი: იყო: გარადა

კარადანილ იყო: სამალალებო: ერთი

ზროხა: კუდარული: და: ერთი: ცხვარი: ეწერა.

ან: მისად: სანუქმოდ: შემოგვინირავს:

ერთი: ზროხა: და ზროხა: ცხოვარი:

და ორი: გვერდი: პური ყოველათა: [ამად]

ლაებათა: დაღეთა: ერთი: ცხოვარი: [და ცვი]

ლი: მახარობლის: შვილისა: მისალავერეულ

ის: ვენახისა: ორი: წილი: ყოველთა ამა

ლალაებასა: დღესა: ისარევე: ალაპსა: იქმოდეთ

ვინცა: ესე: შესცვალოს: რაცა: ბედანსა

საფიცარი: დაუნერია: ისიმც: რისხავს:

მეორე გვერდზე — სხვა, XVI საუკუნის (?) მხედრული ხელით:

ქ. სახელითა: ღთისა: შენ: მხსნელი: და მეოხო: და მფარველო სულისა: ჩუნისაო: იესო: ქრისტეთო: და მაცხოვარო: და ჯვარცმაო: ქრისტესო: რომელმან: ჩუ-ნისა: სწისათვის: ჯვარცმა და ითმინე: მე: სასოებით: მონდობილმან: თქუენმან: ერისთავმან: ბედან დავდე: და შემოგწირე: სალაპოდ: და სალო[ცველა] დ: სული-სა ჩუენისათვის: ერთი: ვენახი: მუხლუხეული: ერთი: ჭური: მახარობლის:

შვილის: სეული: ერთი: ზროხა: კუდარის:

ბეგრისაგან: ერთი: ცხ

ვარი: და ერთის: საკლავისა: ცვილი: მახარობლის:

შვილისა: და ორი

სახაბაზო: პური: ყოველთა: ამალლობათა: დღეთა:

კარ: განლებით:

ალაპი: გარდხდებოდეს: ხუთითა: მღრდლისა:

წირვითა: და ერთი: ვეცხ

ლისა: მაშრაპა: დამიდგამს: ჩემტა შვილთა:

სასიმრთელოდ: ღვინო

სა: რაგვარაც: ვის: უნდოდეს: იმითი: სმიდენ:

ჩუმად: შესანდობლად: ვინც: ესე: მომიშალოს: დასა-ბამამდის:

ჩემან: შვილმან:

ანუ: ჩემან: გვარის: კაცმან: გინდ: შემდგომად:

ჩუნსა: სხვათა:

პატრონთა: და ერისთავთა: რისხავსმცა: მამა: ძე:

და სული: წმიდა: კრ

ულ: წყეულ: და შეჩვენებულმცა: არის: სული: და

ორცი

მისი: ქრისტის: უარის: მყოფელთა: თანამცა:

დაისჯების: ნაწილი...

შემდეგ აკლია.

სახარების ბოლოს მერმინდელი ხუცურით მიწერილია:

ახალციხეს კარელელსა აპრონს და მისთა დედა ძმთა შუეს ღწ.

იქვე, ქვემოთ მერმინდელი მხედრულით:

რანიცა: წმიდანი: ამა შიგან: სწერიხართ

იოსტინეს: ცოდვილსა: სული: შეინყალეა

ვინცა ბრძანოთ: თქვენცა: შეგინდოს. ღმერთმან.

ამი უფალო: შემოგხვენივარ: წმიდანო.

ქვემოთ სხვა ხელით, მხედრულით:

ქ.: ღმერთო: შეინყალე:.. პაპ

უნა:.. ერის:.. თვიშვილი: ცო

დვილი და:.. სანყალო

ბელია:.. ამინ: და კირელი:

ამ სახარებასთან ახლავს ერთი ფურცელი ქალდლისა, რომელზედაც სახარების სარჩევი წერებულა, XVIII საუკუნის ნუსხახუცურით. ბოლოს უწერია:

...[ა]მარე სწრბე ესე ამის პტრონს ეფთვიმე

ს: მღღლ მონაზ

ონს

ქკს: ჩდ: ლბ:

(ეს თარიღი ასომთავრულით სწერია)

იოანე მახარობლის სურათის ქვემოთ ტექსტის ხელით:

[ოთხნო თავ]ნო მწრებლწნო მთე მრკზ ლუკა და იწე შემინყლეცდვილი [ამღვეელი ვარდან...?].

სარჩევის დასაწყის ფურცელზე მხედრული ხელით სწერია:

ქ.: ღმრთისა:.. დედისა:.. მისისა:.. თავს

დებობითა:.. და:.. ჯვარცმის ხატისა:..

თავსდებობითა:..

ცხორი (?) ევისა:.. თა

ვს დებობითა:.. დავ

დევით:.. ესე:.. წი

გნი: ჩვენ: ძმ

ათა:.. გრიგოლ:..

...ბ:.. და:.. ბუ

თამან:.. და:.. ჩ

ნთა:.. შვილთა:..

ძმობისა: და ერცხ

ლობისა: ამა: პი

რსა:.. ზედა:.. დღე

სითგან:.. ნალმა: ჩვენი: ყვალაი: ერ

თი:.. იყოს:.. და სწორი: ბართ: შემოღებული

და: შინა: მონაგროვები ყველაი: სწორი:

იყოს: რასაც: ნავა...

გაბრძელება შემდეგ ნომარში

(სტილი დაცულია)

რას პირდაბა გიორგი კვირიკაშვილი რაჭველებს



„ჩვენ ეს ულამაზესი მხარე ფეხზე უნდა დავაყენოთ“



„ჩვენ, წელს 2016 წლის ბოლომდე აუცილებლად ამბროლაურის აეროდრომის მშენებლობას დავასრულებთ“, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენისას განაცხადა.

„ეს იქნება ამ რეგიონის ტურიზმის განვითარების მძლავრი ბიძგი და წყებულია პროექტი. არა მხოლოდ ყველაზე მცირე ზომის თვითმფრინავები, არამედ საშუალო ზომის 50 მგზავრიანი თვითმფრინავები.

უოველ შემთხვევაში წინასწარი ტექნიკური დასკვნები ასეთ შესაძლებლობას იძლევა. ეს იქნება ძალიან დიდი სტიმული ადგილობრივი მცირე მეწარმეებისთვის, ადგილობრივი ოჯახური სასტუმროებისთვის, ასევე ინვესტორებისთვის, იმისთვის, რომ რაჭაში დამატებითი ინვესტიციები იქნას მოზიდული“, - განაცხადა კვირიკაშვილმა.



პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, მოქმედმა ხელისუფლებამ დაძლია ის პრობლემა, რაც საქართველოზე ეკონომიკურად ძლიერ ბევრ ქვეყანას ჯერ არ აქვს გადაჭრილი - **მოსახლეობას მკურნალობის საშუალება მიეცა.**

„ჩვენ საამაყო ბევრი გვაქვს, მთელი ჩვენი ისტორია და კულტურა ამის დასტურია, მაგრამ მართო წარსული არ უნდა გვქონდეს საამაყო. მე ღრმად მწამს, რომ ქართველებს შეგვიძლია შევქმნათ თანამედროვე ქვეყანა, რომელშიც ყველა ადამიანს ექნება საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება, საკუთარი შრომით ღირსეულად ცხოვრების შესაძლებლობა ნებისმიერ კუთხეში.

სწორედ ეს არის ჩვენი მთავარი საფიქრალი და საზრუნავი. ამიტომაც დავიწყეთ იმით, რომ პირველ რიგში დახმარება გავუწიეთ ჩვენს ხალხს. ჩვენ შევძელით და დავძლიეთ ის პრობლემა, რაც ბევრ ჩვენზე ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანას ჯერაც არა აქვს გადაჭრილი - ყველას მივეცით მკურნალობის საშუალება, ჩვენ გადავარჩინეთ უამრავი ადამიანის სიცოცხლე, სასოწარკვეთილ ადამიანებს დაგუბრუნეთ სიცოცხლის იმედი. დიახ, ეს არის ის, რითაც ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ და თამამად შეგვიძლია შევხედოთ ხალხს თვალებში“, - აღნიშნა კვირიკაშვილმა რაჭაში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრისას.

მისი თქმით, მთავრობა გლეხებს დაეხმარა და სოფლად არ დარჩენილა არავინ, ვინც სარგებელი არ მიუღია. „ჩვენ დავეხმარეთ გლეხებს და ფერმერებს, არ დავგიტოვებია თითქმის არც ერთი გოჯი მიწა დაუმუშავებელი, არ დარჩენილა სოფლად არავინ, ვინც რაღაც სახით მაინც არ მიიღო სარგებელი, იქნება ეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, სასუჭი, სათესლე მასალა თუ მცენარეთა მოვლის საშუალებები“, - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.



გაიხსენებს ბოლო ათწლეულების განმავლობაში ისეთ ხელშეწყობასა და სახელმწიფოს მხრიდან მევენახეობის დაფასებას, როგორც ჰქონდა რაჭა-ლეჩხუმს“, - ამის შესახებ პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა რაჭაში, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა.

მისი თქმით, რეგიონის მოსახლეობამ შემოსავლების სახით 22 მლნ ლარი მიიღო.

„ასეთმა დახმარებამ გლახებს მისცა სტიმული, გაეშენებინათ ვენახი. დღეისათვის დარგულია ვაზის უძველესი და უნიკალური სახვანჭკარე ჯიშის ასეულობით ათასი ძირი. ჩვენ წელსაც დავეხმარებით მევენახეებს ყურძნის რეალიზაციაში და არ დავტოვებთ არავის უყურადღებოდ“, - აღნიშნა კვირიკაშვილმა.



„ამ მხარეში ცხოვრებას სიმტკიცე და გამძლეობა სჭირდება. თქვენმა სიძლიერემ, საკუთარი მიწა-წყლის სიყვარულმა და სამშობლოს ერთგულებამ შემოგვინახა რაჭაც, ლეჩხუმიც და სვანეთიც“, - ასე მიმართა რაჭაში ადგილობრივ მოსახლეობას პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა.

მან განსაკუთრებული პატივისცემა გამოხატა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც არასდროს ტოვებენ თავის სახლ-კარს. „სწორედ ეს ხალხი ინახავს მთას და ამ ხალხზე დგას ჩვენი ქვეყანა“, - აღნიშნა კვირიკაშვილმა.

მისი თქმით, რაჭაში სულ სხვა ცხოვრება უნდა დაიწყოს და ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ მამა-პაპისეულ მიწაზე საკუთარი მომავალი შექმნან.

„ჩვენ ეს ულამაზესი მხარე ფეხზე უნდა დავაყენოთ. აქ სულ სხვა ცხოვრება უნდა დაიწყოს, სისხლსავსე და საინტერესო, ისეთი, რომ ახალგაზრდებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მამა-პაპისეულ მიწაზე შექმნან საკუთარი უკეთესი მომავალი“, - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.



საქართველოს პრემიერ-მინისტრი შაორში, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის „მომავლის ბანაკს“ ესტუმრა, სადაც 18-დან 25 წლამდე ასაკის 100-ზე მეტი ახალგაზრდა ისვენებს.

გიორგი კვირიკაშვილი ახალგაზრდებს მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვან თემებზე ესაუბრა. საუბარი შეეხო ახალგაზრდების დასაქმებისა და ბიზნესის განვითარების პერსპექტივებს, ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამას - „სტარტაპ საქართველო“, ტურიზმის განვითარების პერსპექტივებს, საქართველოში მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

წელს „მომავლის ბანაკი“ 10 ნაკადად 1400-მდე ახალგაზრდას მიიღებს. უპირატესობა მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებს, სოციალურად დაუცველ, იძულებით გადაადგილებული და მრავალშვილიანი ოჯახის წევრებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახის წევრებს მიენიჭებათ.

შაორის „მომავლის ბანაკს“ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროსთან ერთად ახორციელებს.



რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის უნიკალური ისტორიულ-კულტურული ძეგლები, სამთო-სათხილამურო კურორტები, დასასვენებელი ადგილები ტურიზმის განვითარების უდიდესი შესაძლებლობაა, რომელთა მთლიანად ათვისება თვისებრივად შეცვლის ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონეს. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა ამბროლაურში განაცხადა.

„მაგალითისთვის მოვიყვან შაორის ტბას, რომელიც თავისი არაჩვეულებრივი მდებარეობითა და შესანიშნავი ხედებით უამრავ ტურისტს იზიდავს. ჩვენ უვლანაირად ვუწყობთ ხელს ამ ტურისტული ზონის განვითარებას. დღეს სახელმწიფოს ხელშეწყობით, პროგრამის „უმასპინძლე საქართველოში“ ფარგლებში, შენდება ახალი, ძალიან ლამაზი, თანამედროვე ტიპის სასტუმრო. ეს იქნება პირველი ასეთი ტურისტული ინფრასტრუქტურა. დარწმუნებული ვარ, მას კიდევ ბევრი სხვა შეემატება, ჩამოვა მეტი სტუმარი, დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა და გაჩნდება შემოსავლის დამატებითი წყარო. ჩვენ უვლანაირად ვაგვაკეთებთ იმისთვის, რომ რაჭა გამოცოცხლდეს და შეჩერდეს სოფლების დაცლის პროცესი“-განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

პრემიერ-მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას უურადლება დაუთმო იმ ადამიანებზე საუბარს, რომლებიც არასდროს ტოვებენ საკუთარ სახლ-კარს და ინახავენ მთას.

გიორგი კვირიკაშვილმა ხაზი გაუსვა მთის კანონს და აღნიშნა, რომ უკვე პირველი სექტემბრიდან დანამატებით ისარგებლებენ პენსიონერები, მასწავლებლები, ექიმები, ექთნები; საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებენ მეწარმეები; სპეციალური სოციალური პაკეტით უკვე სარგებლობენ ახალგაზრდა ოჯახები, მრავალშვილიანი ოჯახები. პრემიერ-მინისტრმა მთავრობის მიერ ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროების განვითარების მიზნით ხელი-

სუფლების უპრეცედენტოდ მაღალ ყურადღებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ შეძლო სასოწარკვეთილი ადამიანებისთვის სიცოცხლის იმედი დაებრუნებინა.

„ჩვენ შევძელით და დავძლიეთ ის პრობლემა, რაც ბევრ ჩვენზე ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანას ჯერაც არა აქვს გადაჭრილი - უვლას მივეცით მკურნალობის საშუალება, ჩვენ გადავარჩინეთ უამრავი ადამიანის სიცოცხლე, სასოწარკვეთილ ადამიანებს დავუბრუნეთ სიცოცხლის იმედი. დიახ, ეს არის ის, რითაც ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ და თამამად შეგვიძლია შევხედოთ ხალხს თვალებში. ჩვენ დავეხმარეთ გლეხებს და ფერმერებს, არ დაგვიტოვებია თითქმის არც ერთი გოჯი მიწა დაუმუშავებელი, არ დარჩენილა სოფლად არავინ, ვინც რაღაც სახით მაინც არ მიიღო სარგებელი, იქნება ეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, სასუქი, სათესლე მასალა თუ მცენარეთა მოვლის საშუალებები“-აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

გიორგი კვირიკაშვილმა ხაზი გაუსვა ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან მევენახეობის განსაკუთრებულ დაფასებას და აღნიშნა, რომ მთავრობა არც წელს დატოვებს არავის უყურადღებოდ.


„ვერავინ ვერ გაიხსენებს ბოლო ათწლეულების განმავლობაში ისეთ ხელშეწყობასა და სახელმწიფოს მხრიდან მევენახეობის დაფასებას, როგორც ჰქონდა რაჭა-ლეჩხუმს. რეგიონის მოსახლეობამ შემოსავლების სახით 22 მლნ ლარი მიიღო. ასეთმა დახმარებამ გლეხებს მისცა სტიმული, გაეშენებინათ ვენახი. დღეისათვის დარგულია ვახის უძველესი და უნიკალური სახვანჭკარე ჯიშის ასეულობით ათასი ძირი. ჩვენ წელსაც დავეხმარებით მევენახეებს ყურძნის რეალიზაციაში“-განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილმა სიტყვით გამოსვლისას მოსახლეობას ინფორმაცია მიაწოდა იმის შესახებ, რომ მთავრობას ქვეყნის სწრაფი განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობისათვის კონკრეტული, ნაბიჯებით

გაწერილი გეგმა შემუშავებული აქვს.

„ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება სწრაფად დავაღწიოთ თავი გაჭირვებას, რომ თითოეული ოჯახი, თითოეული თქვენგანი წელგამართული იყოს და არ ჰქონდეს ხვალინდელი დღის შიში. სწორედ ამიტომ თქვენი მხარდაჭერით გაიმარჯვებს „ქართული ოცნება“ და ყველა დაწყებულ საქმეს აუცილებლად ბოლომდე მივიყვანთ. დიახ, დღეს სწორედ „ქართული ოცნებაა“

ის ძალა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ქვეყანაში იყოს სტაბილურობა, ჩვენი სამშობლო გაძლიერდეს და ყოველი თქვენგანის ოჯახში შემოვიდეს კეთილდღეობა! ჩვენ ამას ერთად აუცილებლად შევძლებთ! ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ! „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს და ამით ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სამშობლო გაიმარჯვებს“-განაცხადა პარტიის თავმჯდომარემ.



კახა კალაძემ შეკრებილ მხარდამჭერებს ნიკორწმინდის დღესასწაული მიულოცა და საქართველოს სიძლიერე უსურვა.

„ჩემო თბილო ხალხო, მინდა კიდევ ერთხელ მოგილოცოთ ნიკორწმინდის დიდი დღესასწაული და თქვენთან ერთად კიდევ მრავალი ათასწლეული, ერთიანობა და სიძლიერე ვუსურვო საქართველოს. მახარებს და მადლიერებს თქვენთან ყოფნა, რადგან თქვენ ის ხალხი ხართ, ვინც მუდამ ქმნიდა და აშენებდა, ვინც ყოველთვის მშვიდი რუდუნებით ემსახურებოდა სამშობლოს. სწორედ სამშობლოს გასაჭირმა გაგვაერთიანა 2012 წელს, როდესაც ქუდზე კაცი გამოვედით და დავამტკიცეთ, რომ ქვეყნის მართვა და შენება რეპრესიების, ტერორის, ადამიანების დამცირებისა და შიშის გარეშე არის შესაძლებელი. 2012-ში ჩვენ, ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით, ქვეყანა უფსკრულში გადაჩეხვას ერთად გადავარჩინეთ. სასტიკ რეჟიმს ადამიანური პოლიტიკა, პოპულიზმს – რეალური შედეგი, ახირებულ მმართველობას გონივრული მართვა დავუპირისპირეთ. მეგობრებო, რაჭას დიდი ენერგეტიკული, სამრეწველო-ეკონომიკური, სასოფლო-სამეურნეო, კულტურული და სამკურნალო ტურიზმის პოტენციური აქვს. ჩვენ ეს პოტენციური უნდა გამოვიყენოთ და ბუნებისგან ბოძებული სიკეთეები, წინაპართა შრომით დღემდე მოტანილი სიმდიდრე, თითოეული თქვენგანის კეთილდღეობად ვაქციოთ“, – განაცხადა კახა კალაძემ.

„ქართულმა ოცნებამ“ 2012-ში რეალური და არა ვირტუალური, ქვეყნის შენება დაიწყო. ჩვენ ვიზრუ-

ნეთ თქვენს ჯანმრთელობაზე, თქვენი შვილების სწავლა-განათლებაზე, სკოლების, ბაღების რეაბილიტაციაზე, გზების შეკეთებაზე. ჩვენ მივიღეთ „მთის კანონი“, რომელიც დარწმუნებული ვარ, მიგრაციის პროცესს მნიშვნელოვნად შეამცირებს და ამ უნიკალურ მხარეში ბევრ მშრომელ ადამიანს დააბრუნებს. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. დამერწმუნებით, წლობით გაფუჭებულ საქმეს ერთი ხელის მოსმით ვერ გამოასწორებ. ბუნებრივმა სტიქიებმა თუ ადამიანურმა სისასტიკემ და გულგრილობამ ამ მხარეს დიდი დარტყმა მიაყენა. ჩვენ სიტუაციის გამოსწორება ნაბიჯ-ნაბიჯ დავინყეთ. უპირველესად ადამიანები გავათავისუფლეთ, მათ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საჭიროებებზე ვიზრუნეთ და ვზრუნავთ დღესაც“, – განაცხადა კახა კალაძემ. „ახლა სწრაფი განვითარების დროა. ჩვენ ახალი შესაძლებლობები გავაჩინეთ, ძლიერი გუნდი შემოვიკრიბეთ, ხარვეზებიც გავაანალიზეთ და მომავლის ქმედითი, მკაფიო გეგმა შევიმუშავეთ. ამ გეგმას თქვენი მხარდაჭერით, თქვენი მონაწილეობით და თქვენსავე სასიკეთოდ, აუცილებლად განვახორციელებთ. ჩვენ აღარ გვაქვს შეცდომის უფლება. ჩვენი მართვის გამოცდილება რეალური შედეგებითაა განმტკიცებული.

ჩვენი გზა – სწორი, სვლა – სწრაფი და დინამიკური, მიზანი კი – ევროპული კეთილდღეობის საქართველოა. და ამ გზას ჩვენ ერთად გავივლით. ერთად დავძლევთ სიძნელეებს. ერთად მივაღწევთ გამარჯვებამდე“, – განაცხადა კახა კალაძემ.

„რაჭის სიყვარული მამამ ჩამინერგა“

გზა ბიზნესიდან პოლიტიკაში

კვირიკაწმინდა — სოფელი, რომელსაც მე-6-ე საუკუნის უძველესი ტაძარი, წმინდა კვირიკისა და ივლიტას სამნავიანი ეკლესია ამშვენებს. ტაძარი, რომლის მაღლი ადგილობრივი მოსახლეობაზა გადადის და ჯვარბარდ-სახული, დალოცვილი ოჯახები შვილებს მამაპაპისეული კერიდან გზას წარმატებისკენ ულოცავენ. სოფელი, რომელიც ერთ დროს ხალხმრავლობით გამოირჩეოდა, დღესაც კარგად ახსოვთ **იოსებ ენუქიძის და მარიამ შარაბიძის** მრავალშვილიანი ოჯახი, რომლის კერაზაც სითგო-სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის კოცონი გიზგიზობდა. შვილთა სიმრავლითა და კეთილგონიერებით გალაღებული მშობლები შესცქეროდნენ თავიანთ „მონაბარს“ და ღმერთს მაღლობას სწირავდნენ. ოჯახის ერთ-ერთი ვაჟი, ვლადიმერი სკოლის დათმობის შემდეგ დადაქალაქში ჩადის და სამ. პოლიტიკური ინსტიტუტის სტუდენტი ხდება, ვლადიმერმა აქვე გაიცნო მოგავალი მუღღა **ლამარა კეხელავა**. შექმნეს ოჯახი, პროფესიით ფიქრება მთელი ცხოვრება სინაგოგისკენი ბანკის, პატონი იოსები ბედისწარის გამო ოჯახს გამოაკლდა და ბინა ცათა სასუფეველში დაიწყო. ეს სიმძიმე და ტვირთი მარტოხელა ქალს ვაჟაცურად გადაატანინა შვილმა, გოგამ, რომელმაც ოჯახის გაქოლვა საკუთარ მხრებზე აიღო და ჩინებულადც გამოვიდა. სწორედ აქედან დაიწყო გოგა ენუქიძის აღმასვლა, რომლისთვისაც ოჯახი და მშობლიური კუთხა-კუთხული წმინდა-წმინდა სალოცავად იქცა.

მაშ ასე, გთავაზობთ ჩანაწერს, რომელიც კიდევ უფრო ღრმად გაგაცნობთ ამბროლაურის მაჟორიტარი დეპუტატის ცხოვრებისეულ ეპიზოდებს, ხედვას და მიდგომას თავის კუთხის, ოჯახისა თუ საქმის მიმართ.

გზა დეპუტატობამდე...

პროფესიით ინჟინერი ვარ, დაიბადე ქ. თბილისში 1962 წლის 8 აპრილს. ვსაწავლობდი თბილისის მე-10 საშუალო სკოლაში, ქ. როსტოვის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, სპეციალობით მშენებელ-ეკონომისტი, ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტში, სპეციალობით წარმოების მართვა და ეკონომიკა ინჟინერ-ეკონომისტის პროფილით. შემდეგ, სწავლა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე განვაგრძე, დავამთავრე დოქტორანტურა და მაქვს ინჟინერიის დოქტორის აკადემიური ხარისხი. 1989 წლიდან 2008 წლამდე ვიყავი სხავდასხვა კერძო კომპანიებში ნამყვან თანამდებობებზე. ამჟამად, ვარ პარლამენტის წევრი - ამბროლაურის რაიონის ორი მოწვევის მაჟორიტარი. ამ ეტაპზე, პარტია „ქართულმა ოცნებამ“ რაჭის, ლეჩხუმისა და სვანეთის გაერთიანებული მუნიციპალიტეტების მაჟორიტარობის კანდიდატად წარმადგინა. ვარ დაოჯახებული, მყავს დედა, მეუღლე და ორი შვილი.



მამის გარდაცვალების შემდეგ...

მამა რომ გარდამეცვალა, ოჯახზე პასუხისმგებლობის და ვალდებულების აღება მომიწია. უნდა გამომენახა გზა, ოჯახის სარჩენად. ქვეყანა მაშინ გადარჩენის ზღვარზე იდგა, მათ შორის, ბიზნესიც. ამ რთულ პირობებში მეც ვეძებდი გამოსავალს და გადავწყვიტე ჩემი საქმის გაკეთება, საბედნიეროდ, როგორც ეკონომისტს, აღმომაჩნდა სწორი ხედვა და ის უნარები, რომელიც ბიზნესისთვის იყო აუცილებელი.

სტუდენტობისას...

ყოველთვის ტექნიკური საგნები მიზიდავდა, წარჩინებული სტუდენტი არ ვყოფილვარ, მაგრამ რასაც ხელს მოვკიდებდი ყოველთვის ბოლომდე მიმყავდა.

რაჭა მამამ შემეყვარა...

რაჭაში სახლი გვექონდა, კვირიკეწმინდაში, სადაც ბებია და ბაბუა ცხოვრობდნენ. რაჭა მამამ შემეყვარა, მამა ძალიან კარგი მეოჯახე იყო, უყვარდა ნათესაებთან ურთიერთობა, რადგან თვითონაც მრავალშვილიანი ოჯახიდან იყო. ჩვენთან იკრიბებოდნენ მამის დედა-მამიშვილები და ნათესაები, ჩვენი სახლი ითვლებოდა ნათესაების თავშესაფრის ადგილად. ზაფხულში ბუბიასთან ჩამოვდიოდი, მარიამობას, ალგომას, კვირიკობას და დიდ დღესასწაულებზე ყოველთვის რაჭაში ვიყავი. კვირიკობის დღესასწაული ტრადიციულად აღინიშნება და მეც ვცდილობ არ გამოვაკლდე ამ დღესასწაულს. დღესაც არასდროს ვუშვებ შესაძლებლობას, რომ ვესტუმრო კვირიკეწმინდას. ჩემი სოფელი ცნობილია კვირიკესა და ივლიტას სახელობის სამნავიანი ეკლესიით, რომელიც კეთილი ადამიანების შეწვევით აღდგენილი და რესტავრირებულია და დღეს ფუნქციონირებს. მე-6 საუკუნის ტაძრის აღდგენა დიდი საჩუქარია, როგორც რაჭისთვის, ისე სრულიად საქართველოსთვის და ასევე პირადად ჩემთვის. ვისურვებდი, რომ ყველა ქართველმა შეინარჩუნოს კავშირი სოფელთან...

ჩემი მშობლები მსუბუქი მრეწველობის ინჟინრები იყვნენ ისინი პროფესიამ დააკავშირა ერთმანეთს. ყოველთვის ძალიან თბილ ოჯახურ გარემოში ვიზრდებოდი.... დედასთან რა თქმა უნდა ძალიან თბილი ურ-



ამბროლაურში ღვთისმშობლის ტაძრის კურთხევის დროს

თიერთობა მაქვს, ის ჩემი საუკეთესო შემფასებელი და გულშემმატიკივარია. მიუხედავად მისი ასაკისა, უკვე 80 წლისაა, ახერხებს, რომ მხარში დამიდგეს, მომისმინოს, დამარიგოს და მითანაგრძნოს. ჩვენს ოჯახში სიყვარული და განათლება ყოველთვის პრიორიტეტული იყო. ახლა ეს ყოველივე ჩემს შვილებსაც მინდა გადავცე და მგონი გამომდის კიდევ, მათ კარგად იციან სწავლისა და ცოდნის ფასი.

დედის თანადგომით განწყებული ბიზნესი

ახლად ფეხადგმული ბიზნესმენისთვის დახმარება ვინმე კონკრეტულ ადამიანს არ გაუნებია და რა თქმა უნდა ეს ყოველივე მარტივი არ ყოფილა, დაკავშირებული იყო რისკებთან და სიძნელებებთან, მაგრამ ჩემი ოჯახის და პირველ რიგში, დედის თანადგომით შევძელი დამეწყო ჩემი ბიზნესი. მამისგან დამრჩა მრავალფუნქციური სანარმო. მადლობელი ვარ უფლის ყველაფრისთვის რაც გამაჩნია. მინდა ჩემს ქვეყანას გამოვადგე, ჩემს ხალხს და იმ ადამიანებს, ვინც მენდობა და მიცნობს. ვფიქრობ, პასუხიმგებლობის გრძნობა მთავარია ნებისმიერ საქმეში! პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ, ბიზნესის მართვა გადავბარე ჩემი ნდობით აღჭურვილ პირს და თავი სრულად დავიტივრთე საკანონმდებლო საქმიანობით.

პატრიარქისგან ბოძებული ჯილდო

ჩემი აზრით, ყველა ადამიანი ვალდებულია, როგორც შეუძლია აკეთოს კეთილი საქმე, რადგან კითხვამ მოიტანა, გიპასუხებთ, თუმცა ჩემს გაკეთებულ საქმეებზე საუბარი არ მიყვარს. ამბროლაურის რაიონში 10 წლის მანძილზე შენდებოდა ღვთისმშობლის ტაძარი, ვიღებდი აქტიურ მონაწილეობას მის მშენებლობაში. წელს 6 აგვისტოს იკურთხა ტაძარი და კათოლიკოს-პატრიარქი ჩამობრძანდა. მისმა უწმინდესობამ სამადლობელი სიგელი გამომცა. რაც შეეხება ამბროლაურის რაიონის საპატიო მოქალაქის სტატუსს, ეს ჯილდო ჩემთვის ძალიან დიდი პასუხიმგებლობაა, მაჟორიტარი დეპუტატი უნდა ფლობდეს სრულ ინფორმაციას, ცდილობდეს ყველა სეგმენტის დახმარებას და ხელშეწყობას. ვალდებულია ჩაერთოს მიმდინარე პროცესებში და ყველა გზა და ხერხი გამოიყენოს, რომ მეტი კეთილდღეობა მოუტანოს, განავითაროს და გააძლიეროს რეგიონი.

რატომ უნდა მომცენ ხმა?..

მთის და ბარის თავისებურება ძალიან განსხვავდება... მთის მოსახლეობას დიდი მოფრთხილება და დაფასება სჭირდება, რადგან უნდა დაფუძრუნოთ ხალხი მოწყვეტილ ფუძეს, უნდა ვიზრუნოთ, რომ აღარ არსებობდეს მიტოვებული ოჯახები, უნდა შევძლოთ, რომ არ გაცივდეს და პირიქით გამრავლდეს ჩვენი წინაპრების კერა. უნდა შევეწყნოთ ხელი ხალხის დაბრუნებას მათ ოჯახებში, სწორედ ამისთვის კეთდება ყველა ეს ინიციატივა, რომ მათ გაუმარტივდეთ ცხოვრება და შეუმსუბუქდეთ ყოფა ზამთრის ცივ და მკაცრ თვეებში. მე აქტიურად ვიყავი ჩართული მთის კანონის მიღების პროცესში, რომელიც ითვალისწინებს მთაში მცხოვრები პირებისათვის სხვადასხვა შეღავათებს. ძირითადი შეღავათები ამოქმედდება 2016 წლის 1 სექტემბრიდან. კანონი გულისხმობს ბევრ სოციალურ შეღავათს, მაგალითად: პენსიონერებისთვის და სოციალურად დაუცველთათვის პენსიისა და დახმარების 20 %-იან დანამატს. საჯარო სკოლისა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთათვის საბაზო ხელფასის 35%-იან დანამატს, ხოლო იმ მასწავ-

ლებელთათვის, რომლებიც განათლების სამინისტროს სპეციალური პროგრამის შესაბამისად ასწავლიან მაღალმთიანი რეგიონის საჯარო სკოლაში ხელფასზე 50% დანამატი მიეცემათ. სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობით, ხოლო ექთნებისათვის ერთმაგი ოდენობით. უკვე ამოქმედებული კანონის ნორმა, რომლის შესაბამისადაც ახალშობილზე, პირველ და მეორე ბავშვზე არის დახმარება 100 ლარის ოდენობით ერთი წლის განმავლობაში, ხოლო მესამე და მომდევნო ბავშვზე 200 ლარი ყოველთვიურად 2 წლის განმავლობაში. 2017 წლის 1 იანვრიდან მოსახლეობას აუნაზღაურდება 100 კილოვატამდე მოხმარებული ელექტროენერჯის საფასური 50%. ამავე კანონით განისაზღვრა მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები მრავალშვილიანი პირის საბიუჯეტო ხელფასი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან, 18 წლამდე ასაკის შვილების ყოლისა, თუ პირის შემოსავალი 3000 ლარამდეა საშემოსავლო გადასახადი გაუნახევრდებათ. მენარმე, რომელსაც მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლებების სანარმოს სტატუსი 10 წლის ვადით თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან. ასევე, 10 წლით მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება მაღალმთიანი სანარმოს მიერ ამავე მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობით მიღებული მოგება. ქონების გადასახადისაგან თავისუფლდება მოსახლეობის კუთვნილი მიწის ნაკვეთები და ასევე სანარმოების საკუთრებაში არსებული ქონება 10 წლის მანძილზე.

სვანური ენის შესწავლა მომიწევს...



ამ ეტაპზე, მხოლოდ ჩემი ქვეყნის სიყვარული მაღაპრაკებს, ისიც კი ვიფიქრე, რომ აუცილებლად დამჭირდება სვანური ენის სწავლა. ვფიქრობ, სვანური აფხაზურ ენასთან ერთად დაწყებით კლასებშიც უნდა ისწავლებოდეს, რომ ქართველებმა ერთმანეთისკენ მიმავალი გზა არ დავკარგოთ. უნდა ვიცოდეთ სასაუბრო ენა. უნდა დათბეს ურთიერთობები, უნდა დავძლიოთ გზისა და დისტანციის შეგრძნება. აუცილებლად უნდა ავითვისოთ ტურიზმის სფერო, რომ ეს საოცრება, რასაც სვანეთი ჰქვია ყველამ ნახოს, ის ხომ, ჩემი აზრით, ნამდვილი სამოთხეა .

არჩევანი, რომლისაც მჯერა...

გავაკეთე არჩევანი, იმ ძალის მხარეს, რომელიც ვფიქრობ, რომ ჩემს ქვეყანას ფეხზე წამოაყენებს, ტრადიციებს დაიცავს, ოჯახურ და ადამიანურ ღირსებას არ შეურაცხყოფს, ჩემი აზრით, „ქართული ოცნება“ არის სწრაფი განვითარების და კეთილდღეობის მომტანი. მე დღეს აქ ვარ! თქვენს გვერდით და მზად ვარ ვიბრძოლო ჩემი ამომრჩევლის ინტერესებისთვის!

ნინო რეხვიაშვილი

გივი სიხარულიძე

სეკა სიყოყმის მოცნობილი კაცისა



ძველად პოეტური ხედვის კაცს, რომელსაც სიტყვაც გვარიანად უჭრიდა და ნაგრძობ-განცდილის თხრობაც ეხერხებოდა, მელექეს, მთქმელს უნოდებდნენ. მის ზეპირ მოთხრობებსა თუ ლექსებს ისმენდნენ, იმახსოვრებდნენ და ითავისებდნენ. ერთმანეთს გადასცემდნენ. ამიტომ მისი მხატვრული ქმნილებები მთელი ხალხის გულისთქმადაც იქცეოდა ხოლმე და ასე განაგრძობდა თავის ზეპირ არსებობას და თურა ძალუმი თხზვა შეეძლოთ ასეთ მთქმელებს, ამას დიდი ვაჟას ბიძის მერცხალას ამბავიც ნათელყოფს, კაფიაობაში გენიოსი პოეტიც კი რომ გაუწითლებია.



ჩვენს დროში, რაციონალიზმისა და გონიერების ეპოქაში, ასეთი პოეტური ფენომენი, ბუნებრივია, ვეღარ განიცდება ჩვენი ძველების დარად. ეტყობა მხატვრული ნაწარმოების თხრობას ისეთი რაღაც ჯადოსნურ-მხატვრული თანაგანცდა ახლდა, რაც კითხვის პროსაზომად პროფესიონალიზმის პრიზმაში ცნობიერი თუ ქვეცნობიერი ჭვრეტა ქცეულა. არა და ჟამიდან ჟამ იფეთქებს ხოლმე ზეპირად მთქმელ-პოეტის ნიჭი, ისეთი ნიჭი, ღვთაებრივ მაღლს უთუოდ რომ შეიცავს და ვერაფრით თავსდება პროფესიული მწერლობის ჩარჩოებში, არც ერთ ლიტერატურულ მიმდევრობასა თუ „იზმში“ მისი ნაამბობ მონათხრობი, პოეტური განცდა ძალიანაც მოსწონთ, რადგან გრძობენ ხალასი ნიჭის არსებობას, მაგრამ ამ ფენომენისათვის სახელი ვერ მოუძებნიათ. არაორდინალურობის გამო ასეთი კაცი მრავალთა თვალში უცნაური, ახირებული, პოეტის სახელზე მეოცნებე ადამიანია. არა და სახელის ძიება არაფერ შუაშია, მის არსებაში პოეტის, ხელოვანის გენი მყოფობს, სათქმელი მოსძალებია, თქმის ფორმას ეძებს. მოეძებნება ფორმაც და იბადება სიტყვიერი ქმნილება. იგი ჯერ ვინრო წრეში გადის „აპრობაციას“, შემდეგ კი ფართო მკითხველთა საზოგადოებისაკენაც მიიკვლევს გზას.

დგება ჟამი ასეთი წიგნისა და მისი ავტორის ყურისგდებისა, ჟამი მისი იმ რაკუსით შეცნობისა, რასაც იგი სინამდვილეში წარმოადგენს და რისკენ სვლას შე-

ადგენდა მთელი მისი ცხოვრების გზა. ეს წიგნი იქცევა მისი ავტორის პიროვნების ნაკითხვად და სახელი დაერქმევა ამ პიროვნულობას, მის არაორდინალურობას, უცნაურობას. და ეს სახელი დაუკავშირდება „ზეპირი სიტყვის დიდოსტატობას“, ასეთია თანამედროვეობის ერთი უცნაური ფენომენი, ჩვენს ძირძველ მხატვრულ სტრიქონს რომ არის დამყარებული.

ახლახანს მკითხველმა ერთი ასეთი კაცის მხატვრული კრებული მიიღო, მისი ავტორია გივი სიხარულიძე. ზუსტად მიუთითებს მის ფენომენზე გივი ნიშნიანიძე წიგნის წინათქმაში: „იგი ზეპირსიტყვაში დიდოსტატია... ესაა კაცი გამოცანა“ მან „ახლა თვითონ ინება ამოეხსნა თავიო“. აკი ამ ამოხსნის გასაღებსაც თავად ავტორი გვთავაზობს. მან ამ გასაღების მნიშვნელობა დააკისრა წიგნის გარეკანზე გატანილ სიტყვებს ერთი თავისი ლექსიდან, რომელსაც „ავტოპორტრეტი“ ჰქვია: „ზოგი გიჟს ხედავდა მასში და ზოგი — ნიჭს. ვერავინ ამჩნევდა სევდიან ბიჭს“. კონსტრასტულად მინიშნებული სევდიანობის ლაიტმოტივიური დატვირთულობა წიგნის სათაურადაც არის გატანილი. წიგნს „სევდიანი სკამი“ ჰქვია. ასე რომ, სევდა და სევდიანობა გივი სიხარულიძის მსოფლგანცდის ლაიტმოტივია. ეს სევდა სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებული და სიცოცხლის მოტრფიალე კაცის სევდაა. იგი იმ მსოფლგანცდით არის ნასაზრდოები, რომ სიცოცხლე გაცილებით ვრცელი, ღრმა და ტევადია, ვიდრე ადამიანის თვალი ხედავს. თვალთ ხილულის მიღმა უხილავი რეალური სამყაროა განფენილი და მისი აღქმის გასაღები გრძობადობაა. გ. სიხარულიძის მხატვრული ხედვა უმეტესად ამ უხილავის, გრძობადისაკენ არის მიმართული. იგი მას რეალურად არსებულზე უფრო ღრმად წვდება და გამორჩეული მკაფიობობა აქვს შეძენილი. მის მხატვრულ ნაწარმოებებში სწორედ გრძობით — ირეალური სამყაროა „ამეტყველებული“. რეალურს მიღმიერის, გრძობიერის შემჩნევა, მისი ადამიანურის მსგავსი სულიერებით ავსება ამსგავსებს სწორედ გ. სიხარულიძეს ძველ მთქმელს, რაფსოდს.

გ. სიხარულიძის მხატვრულ სამყაროში ერთგვა-

რად ნაშლილია ზღვარი რეალურსა და გრძნობითს, ირეალურს შორის. როგორც იტყვიან, აქ „ყველაფერს ყველაფრის უნარი მიეწერება“, რადგან არაიშვიათად სწორედ უძრავ, უსულო საგანს აქვს მიწერილი სულიერება. სწორედ ასეთი საგანი ფიქრობს, განიცდის, ნუხს, ოხრავს, ადამიანურის მაგვარ სიცოცხლეს განასახიერებს. მიღმიერი გრძნობითი სამყარო რეალურზე გაცილებით წმინდაა, სპეტაკი, შეუმრღვეველი. ამ თვისებებით იგი რეალურისაგან დიდი კონსტრასტულობით განსხვავდება და კიდევ ერთი: გ. სიხარულიძის მხატვრული ქმნილებების გაცნობა ნათელყოფს, რომ ყოფიერების საყოველთაოობის, უნივერსალობის, რეალურთან ერთად გრძნობით — ირეალურის დანახვა და შეცნობა თანამედროვე, ცივილიზებული ქალაქური ყოფის წიაღშიც არის შესაძლებელი, რადგან ხედვის, შეგრძნების სიღრმე და სივრცეა მთავარი და არა ცივილიზაციის სიახლოვე და სიშორე. აი, ამის ნათელი ილუსტრაციებია გ. სიხარულიძის ალალი მინიატურები, ესსეები, ნოველები, მოთხრობები, ლექსები... მათში რეალობას ზოგჯერ მხოლოდ გრძნობით — ირეალურთან მიახლოების ფუნქცია აქვს დაკისრებული, რეალობაზე კი იმიტომ ჩერდება ავტორის მზერა, რომ უფრო თვალხილული გახადოს კონტრასტი რეალურსა და გრძნობით — ირეალურს შორის.

ასე უცნაურდება მკითხველისათვის ქალაქური კოლორიტის მატარებელი კაცის სულიერი სამყარო, სამყარო ძალუმად რომ შენივთებია გრძნობით — ირეალურს. აქ თვალშისაცემად მოჩანს ცალკე იმის გათავისება, რასაც ქალაქი და ქალაქური ყოფა ჰქვია და ცალკე მისი მიღმიერი, გრძნობითი ანარეკლი. ასეთად გვესახება გ. სიხარულიძის მხატვრული სამყაროს მოდელი. ამ სამყაროს კარიბჭე კი „თბილისში, ვაკის უბანში, მეცხრე საავადმყოფოს წინ“ მდგარი სკამია, ავტორს ბავშვობის ოცნებიდან რომ გამოჰყოლია და დროის მიღმა დამდგარა, რადგან ყოველივეს ცვალებადობის ფონზე მხოლოდ იგი დარჩენილა უცვლელი „ვაკის ბიჭების მესაიდუმლე“.

რით უნდა იყოს ღირსშესანიშნავი ქუჩის ათასჯერგადაღებული სკამი? ალბათ არაფრით, გამვლელისათვის, მაგრამ არა გ. სიხარულიძისათვის, მისთვის ეს სკამი ცოცხალი, სულიერი არსებაა, თავისი უძრავი არსებობის მიუხედავად. იგი უბნის ცხოვრების ცოცხალი მემატრიანია, უბნის ბიჭების ცხოვრების უძრავი თანამონაწილეა. იგი მათი სიხარულით ხარობს, მათი ნუხილით ნუხს, მერე რა, რომ „გარეთ, სახეზე არაფერი ეტყობა“. განა ამ თანამონაწილეობის გავლენა არ არის ის ცრემლი, სკამს მაშინ რომ ჩამოსდის, როცა რომელიმე ვაკელ ბიჭს „სამარადისო, საუკუნო გზას“ გაუყენებენ? გამვლელს კი ეს უხმო ტირილის მაუწყებელი ცრემლი, ცრემლი ახლობლის დამკარგავი მგლოვიარისა, ვერ შეუმჩნევია და ჰგონია, რომ სკამს „მორწყული ქუჩის წყლის წვეთები ჩამოსწვითავს“ (სევდიანი სკამი).

ამ ცრემლის, ფიქრისა თუ თანაღმობის დანახვა განსაზღვრავს გ. სიხარულიძის მხატვრული ხედვის სპეციფიკას. ამის გამოა, რომ მისთვის უაღრესად ჩვეულებრივი, ტრივიალურიც კი საოცრად წმინდა, სპეტაკი, ზნეობრივ მეორე მხარეს — გრძნობით — ირეალურ მხარეს შეიცავს, პირველისაგან ისეთსავე განსხვავებულს, როგორც მედლის მეორე მხარე.

ამგვარი სპეტაკი და ზნეობრივ-სულიერი მხარეა განცხადებული გ. სიხარულიძის ნოველებში **„გმადლობ, ლუბაშა!“**, **„ჩვენ ყველამ დავიგვიანეთ“**, **„ციურუნია“**. ამ ნაწარმოებებში იგი რეალურ ყოფით მოვლენათა ფონზე მათს მიღმიერ, სულიერ-ზნეობრივს მოაქცევს მხატვრული ხედვის არეში და მათი არსის გადმოშლით სიცოცხლის ძლიერებას გვიჩვენებს. იგი ყოვლის წარმავლობის ფონზე სიცოცხლის ჭეშმარიტ და მარადიულ ფასეულობათა არსებობას სწორედ ზნეობრივის, სულიერის გრძნობით — ირეალურ სამყაროში პოულობს.

საგანსა და მოვლენაში შთაბეჭდილია და ამდენად მათი ჭეშმარიტი რაობის განმსაზღვრელი მიღმიერი ზნეობრივ-სულიერი მხარის არსებობა ათვალსაჩინოებს სიცოცხლის მარადიულობას, ყოვლისმომცველობას, უნივერსალობას. ეს გარემოება ამსგავსებს ადამიანს და ერთი შეხედვით, ისეთი პატარა მნიშვნელობის საგანს, როგორც ერთი, ჩვეულებრივი ხმელი ფოთოლია. ასეთი დიდი კონტრასტის მიუხედავად, მათში ერთნაირად ცნაურდება სიცოცხლის საზრისი. ხეს მოწყვეტილი, უკვე გამხმარი ფოთლის როლი (თუნდაც ფუნქცია) ისევე მთავრდება, თავად ფოთოლი კი ისევე უერთდება და ითქვიფება მისსავე მსგავს ხმელ ფოთოლთა სიმრავლეში, როგორც მთავრდება ადამიანის ამქვეყნიური როლი სასაფლაოს კარიბჭესთან (ნოველა **„ჩემი როლი“**).

სიცოცხლის საყოველთაოობის შეგრძნებით არის ნასაზრდოები ის განცდა, რაც ადამიანური ვნებიანი სიყვარულის უნარს მიაწერს ყვავილზე მოფარფატე პეპელას, ხოლო ტრფობის უინში ჩაძირული ქალწულის ვნებას — ნაზ ყვავილს, **„რჩეულის ველურ აღტიკინებას რომ მინდობია, კარგავს ქალწულობას და სიამოვნების ჟრუანტელში ემშვიდობება სიცოცხლეს“** („თრობის სურნელი“).

ასეთივე რაკუსით არის დანახული, ერთი შეხედვით, ისეთი არაფრისმთქმელი საგანი ბუნებისა, როგორცაა წყლის ტალღათა მიერ ნაპირზე გამორიყული, დაღარული ქვა. ამ ქვას სრულიად განურჩევლად დასწვდა ბიჭუნას ხელი და სიცვლქის ენერგიის დახარჯვის სურვილით აღტიკინებული ქვას ისევ ზღაში გადაგდებას უპირებს. ესაა და ეს. ამაში თითქოს არაფერია, თუნდაც ოდნავი ყურადღების ღირსიც კი. მაგრამ აი, ამ „უმნიშვნელო“ პასაჟში ამოიკითხა გ. სიხარულიძემ სიცოცხლისაკენ, „სამზეოსაკენ“, როგორც სიცოცხლის წყაროსაკენ, ყოველი სულიერი არსის მარადიული ლტოლვის მისტერია. მან ქვა აამეტყველა, ბიჭუნასთვის ათქმევინა, თუ რა დიდხანს მიილტვოდა

სამზეოსაკენ, სიცოცხლისაკენ, როგორ დაღალა და დაღარა ამ ლტოლვამ, მან ქვა აატირა და ადამიანური ცრემლი ადინა ზღვაში გადაგდების და იქ უსახური და უსახელო არსებობის პერსპექტივით შეძრწუნებულს გ. სიხარულიძე გვეუბნება, ბიჭუნამ დაინახა ეს ცრემლი. — ქვა გადარჩა. აქ თავად ფინალიც სიცოცხლის უნივერსალობაზე მიმანიშნებელია. როგორც სიცოცხლეა ყოვლისმომცველი და უნივერსალური, ისე ენაა მისი ერთი და საყოველთაო. მის მკვიდრთ შეუძლიათ ერთმანეთის მოსმენა და გაგება... თუკი მოინდომებენ (ნოველა „გმადლობ, მზეო, თანადგომისათვის“).

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლება, რადგან გ. სიხარულიძის მოთხრობებში ადამიანური განცდები თუ გრძნობები „არაცოცხალი“ ბუნების ბევრ ბინადარს მიეწერება. ისინი ადამიანის ენით გვესაუბრებიან, ამით კი თავად ადამიანური ყოფის საზღვრები ფართოვდება. ამ ყოველივეს ცივილიზაციის ბრჭყვიალით თვალაბნეული ადამიანისაგან შეუმჩნევლობა, დაუნახაობა შობს იმ სევდას, რაც გ. სიხარულიძის ამგვარ თემატიკის ნაწარმოებებს ახლავს და სრულიად აშკარაა, რომ ეს სევდა სიცოცხლის სიყვარულის და მისით აღტაცების გამომხატველია. ასეთად გვესახება გ. სიხარულიძის მხატვრული ხედ-


ვის ერთი, მაგრამ ძირითადი ტენდენცია.

გ. სიხარულიძის კრებული თემატურადაც და ჟანრობრივადაც მრავალფეროვანია. აქ ქალაქური იუმორის შემცველი მოთხრობებიცაა, ხალასი განცდებით დატვირთული ლირიკული ლექსებიც, სხარტულებიც... მაგრამ, **ვიმეორებ, მთავარი მახასიათებელი მისი მხატვრული ხედვისა სიცოცხლის საყოველთაობის ზემოაღნიშნული განცდაა.** იგი მოაქცევს გივი სიხარულიძეს ჩვენი ძველი, ზეპირი ლიტერატურის ტრადიციათა წრეში და ათვალსაჩინოებს მის მწერლურ ნიჭიერებას: ნათელყოფს იმას, რომ მას ბუნებით აქვს მიმადლებული მხატვრული ნიჭი. იგი წერს არა იმიტომ, რომ მისთვის მწერლობაა თვითმიზანი, არამედ იმიტომ, რომ მხატვრული თქმა, თხრობა მისი პიროვნების თვითგამოვლენის შინაგან მოთხოვნილებას წარმოადგენს. და რადგან ეს მართლაც ასეა, მას თქმა და მკითხველი უთუოდ სჭირდება.

თეიმურაზ ჯაგოდნიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**როგორ გახდა
ჭყონდიდელი „სკუს“
რეჟისორების
სანაქმებო სიძე
გზა უკვდავებისაკენ**



ვიზალი ყურაშვილი

უხსოვარი დროიდან ჭყონდიდი წარმატებული რელიგიური ცენტრი იყო. მაღალ ბორცვზე იდგა ხომონი, ჭყონის (მუხის) უზარმაზარი ხე. იგი წარმოადგენდა ნაყოფიერების, გამრავლებისა და ოჯახის კეთილდღეობის მფარველ კოპუნას წარმართულ სალოცავს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა თაყვანს სცემდა. პირველი ეკლესია სწორედ აქ მდებარე მუხის ადგილას აშენებულა ანდრია პირველწოდებულის სახელზე, რომელმაც სამეგრელოში ქრისტიანობა იქადაგა.

მე-7 საუკუნეში აშენდა მარტვილ-ჭყონდიდის ტაძარი, რომლის ტრაპეზი დაფლულ სინმინდეს — მოჭრილ მუხის ფესვებს დაეფუძნა.

სწორედ რომ ამ დიდებული მიწის ჭყონდიდის ოდაბადემ შვა ისეთი ღირსეული ოჯახი, სადაც ცოდნის, ინტელიგენტობის, დედაშვილობისა და ოჯახისშვილობის ლიბრეტო დაინერა. ამ ყველაფრის შემოქმედი კი მღვდელი ეპიფანე ყურაშვილი და მისი ცხოვრების მეგზური, მარიამ გაბუნია გახლდნენ.

ეპიფანე საეკლესიო პირი იყო. სოფელში სახელ-
-დიდებითა და კოლხური ბრწყინვალეობით გამოირჩე-
ოდა. ეკლესია გაიხადა ნავსაყუდრად. მისი ძალისხმე-
ვით სოფელში ოთხნობიანი სასწავლებელი დაარსდა.
მას შემდეგ ოცდახუთი წელი ემსახურა მშობლიურ
ჯოლევეს. მაგრამ ყველაზე დიდი, რაც მას სამშობლოს-
თვის შეეძლო ეკეთებინა, ეს მაინც ოჯახის გვირგვინი
იყო — ხუთი დიდებული ვაჟკაცი აღზარდა, რომელთა
გამოც მათ მშობელ დედას დედობის ორდენი გადა-
ეცა. ეს არის სწორედ ჩვენი ქართველობის სიმაღლე,
აფერუმ მის დედობას! აღზარდაც არის და აღზრდაც!
ყურაშვილების ოჯახი ნიჭიერებისა და ინტელექტუ-
ალიზმის შეუდარებელ სამჭედლოდ იქცა. ხუთი ვაჟი
— ხუთივემ საკანდიდატო, შემდგომ სადოქტორო დი-
სერტაცია დაიცვა. ოთხმა მათგანმა ექიმობა არჩია,
ერთი ისტორიკოსი იყო. ეს ყურაშვილების დინასტიაა,
რომელთაც ერთი პატარა სოფელი ჯოლევეი ესოდენ
გააბრწყინეს და დავით აღმაშენებლის აღმზრდელი-
სა და თანამოებდის — გიორგი ჭყონდიდელისეული
„ოდაბადე“ ნიჭიერებისა და კაცურ-კაცობის მანტიით
შემოსეს.

ამ დიდებულ კუთხეში დაირწა კაცობისა და მედი-
ცინაში აკადემიკოსის ტიტულოსანი ვიტალი ყურაშ-
ვილის აკვანი. ოთხი ძმის შემდეგ მეხუთე „სკუა“ მოე-
ვლინა ყურაშვილების სახელოვან ოჯახს. ხუთი ბრგე,
ახოვანი, ინტელექტუალი ვაჟკაცი სწორედ რომ ერისა
და ქვეყნის სიამაყენი იყვნენ. ბატონმა ეპიფანემ ცოდ-
ნა და რწმენა უფლისა ერთნაირად ჩაუნერგა შვილებს
და დღენიდაც იმის მქადაგებელი იყო, რომ „თქვენ
თქვენსავე სამშობლოში ოჯახის დესპანი ხართ, ქვეყ-
ნის გარეთ კი სამშობლოსიო“. ამ იდეოლოგიით დამო-
ძღვრილმა ძმებმა სამამულო ომში თავი გამოიჩინეს
და ქვეყნის წინაშე ვალმოხდინი დაუბრუნდნენ მშო-
ბლიურ მიწა-წყალს.

ფილიმონი, ბორისი, ალექსი, მელენტი, ვიტალი, აი
ძმები მეცნიერები, ძმები პროფესორები, ძმები აკადე-
მიკოსები, ძმები ქართველები, ძმები ოჯახისშვილები...
მართლაც და სიამაყეა, ქართველობის სიამაყე. მათი
გამზრდელი მშობლები კი, შესაბამისად, როგორც გან-
საკუთრებული ღვანლის მქონენი, უკვდავების საუ-
ფლოს ბინადარნი არიან.

ახლა კი უმცროს ყურაშვილზე შევჩერდეთ; ვიტა-
ლი 1920 წელს დაიბადა. 1942 წ. დაამთავრა თბილისის
სამედიცინო ინსტიტუტი. სწავლის პერიოდში გაიცნო
თანაკურსელი, რაჭველი გოგონა აგნესა გურგენიძე.
ომი ახალი დანყებული იყო და ახალგაზრდა ექიმიც,
დანარჩენ ძმებთან ერთად, ჯარში გაიწვიეს.

გოგონამ ძნელად გადაიტანა შეყვარებულთან გან-
შორება, მაგრამ მომავლის იმედი ჩაისახა და ყოველი
ცისმარე დღე მასზე ფიქრით იწყებოდა. ოცნება შეე-
ძლო, ამბობდა — მხოლოდ მის დაბრუნებას მოვეცნრო,
თუნდაც დაკოჭლდეს, თუნდაც დაბრმავდეს, ვიტალი
მიყვარს და სულ მის გვერდით ვიქნებიო. გოგონა თა-



მშობლები: ვიტალი ყურაშვილი და
ანგელინა გურგენიძე

ვის გრძნობებს არც დედასთან მალავდა. დედისერთა
იყო. ფოტინე ჭიჭინაძემ და სიმონ გურგენიძემ შვილს
სულგრძელობა, სიალაღე და კეთილშობილება შთაუ-
ნერგეს. თლული იყო მათი მშობლიური სოფელი. მას
შემდეგ, რაც თავის გულისსწორი ომში გაისტუმრა,
აგნესას გულმა ფესვთა სავანის, რაჭისკენ გაუნია.
იგი ერთხანს ხოტევის საავადმყოფო-ამბულატორიის
ექიმად, შემდეგ კი გამგედ მუშაობდა. ძნელი იყო ქა-
ლიშვილისთვის სოფელ-სოფელ ფეხითა და ცხენით
ავადმყოფებამდე მისვლა, მაგრამ ერთგულად ემსა-
ხურებოდა პაციენტებს. დედამისი ფოტინე, გრძნობ-
და რა შვილის განწყობას მომავალი საქმროს მიმართ,
დღენიდაც მის მშვიდობით დაბრუნებაზე ლოცუ-
ლობდა. და აი, ეს დღეც დადგა. ვიტალი მთავრობის
ჯილდოთი მკერდდამშვენებული ოჯახს დაუბრუნდა.
შინ მშვიდობით დაბრუნდნენ მისი ძმები, ხუთი ძმა —
ხუთი მეცნიერებათა დოქტორი (ისტორიის, ბიოლო-
გიის, მედიცინის), ხუთივე პროფესორი და ხუთივე
აკადემიკოსი. ჰოი, საოცრებავ, უფალმა მართლაც
რომ ნიჭს მისცა გზა ფართო და არც ღირსებისთვის
დაუზოგავს რამე.

დიახ, ვიტალიზე გიაბობდით, ქვეყნის წინაშე პირ-
ნათლად ვალმოხდელი ჭაბუკი შეყვარებულთანაც ტა-
რიელივით ამაყი დაბრუნდა და კიდევ ერთი ლამაზი
ოჯახი შეემატა ქვეყანას.

აგნესა ყურაშვილების ოჯახში მზის სხივივით გა-
ბრწყინდა, სამი მშვენიერი გოგონა არუქა მეუღლეს.
მაგრამ არც პროფესიული საქმიანობისთვის უღა-
ლატია ოდესმე. ქალბატონმა აგნესამ ჯერ თბილისის
მე-17 პოლიკლინიკაში უბნის თერაპევტად იმუშავა,
შემდეგ მეოთხე სამმართველოს საავადმყოფო-პოლი-
კლინიკის მეორე გაერთიანების თერაპიული განყო-
ფილების გამგე იყო. ვინ იცის, ათეული წლების მან-
ძილზე რამდენ ავადმყოფს დაუამა ტკივილი, რამდენი
გამოაჯანმრთელა და სიცოცხლე არუქა. 1971 წელს
ქალბატონი აგნესა საპატიო ნიშნის ორდენით დაჯილ-
დოვდა. თუმცა მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო მეუღ-



ლე, ვიტალი ყურაშვილი იყო, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე პირველი სიყვარულის დარად უყვარდა, ხშირად ეჭვიანობდა კიდევ, მუდამ მისი თვალისა და გულის არეალში მყოფი მეუღლის უერთგულესი მონა-მორჩილი გახლდათ.

ამ ყველაფრამდე კი იყო უდიდესი გზა აკადემიკოსისა, რომელიც საზარელმა ომმა ვერასგზით დააზიანა და 1948 წელს საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ, ასპირანტურა ლენინგრადის სამედიცინო ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტში გაიარა. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ იქვე, ვირუსოლოგიის განყოფილებაში იწყებს მუშაობას. 1954 წელს დაიცვა საკანდიდატო, 1966 წელს კი სადოქტორო დისერტაცია. მისი ხელმძღვანელი და გზამკვლევი იყო ა. სმოროდინცევი — საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ექსპერიმენტალური მედიცინის ინსტიტუტში ვირუსოლოგიის განყოფილების თავკაცი, ლენინისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ანტივირუსული იმუნიტეტის პრობლემის წამყვანი სპეციალისტი, მრავალი ეფექტური პრეპარატის ავტორი.

1954 წელს ვიტალი ყურაშვილმა თბილისში ვაქცინებისა და შრატების საკავშირო სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში გახსნა პირველი ვირუსოლოგიური ლაბორატორია საქართველოში, იგი იყო ვირუსოლოგიური კვლევის ფუძემდებელი რესპუბლიკაში. მისი მეცნიერული კვლევა მოიცავს ეპიდემიოლოგიის, ინფექციური პათოლოგიის კლინიკის, იმუნოლოგიის, მიკროორგანიზმთა გენეტიკისა და სხვა საკითხებს. დღესაც თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მიკრობიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის კათედრის ყოფილი გამგის, ვიტალი ყურაშვილის შრომები დეტალურად ციტირდება გრიპისა და ანტიგრიპოზულ იმუნიტეტზე გამოქვეყნებულ რუსულ, ინგლისურ და სხვა ენებზე გამოცემულ სახელმძღვანელოებში.

აი, ასეთი წარმატებული ოჯახი შექმნეს ბატონმა ვიტალიმ და ქალბატონმა აგნესამ. მათ ერთმანეთის სიყვარულით განვლეს გზა მეტად რთული და საინტერესო. ბატონი ვიტალი მეუღლის სიყვარულის გამო ეთაყვანებოდა მის მშობლიურ კუთხეს, რაჭას. სამეგრელოში დაბადებული კაცი თლულს ლამის მშობლიურად მიიჩნევდა. მათ იქ ძველი სახლის ნაფუძარზე ახალი ორსართულიანი სახლი აღმართეს, სადაც, გარდა ოჯახის წევრებისა, თავს იყრიდნენ სტუმრები ქალაქიდან, ნათესავები, მეგობრები. მათთან სტუმრობა ყველას უსაზღვროდ სიამოვნებდა. სახლის აივნიდან

კარგად მოსჩანს ნიკორწმინდის ტაძარი.

გაზაფხულდებოდა თუ არა, დიდი ოჯახის დიდებული ქალბატონი უმაღვე რაჭისკენ მიეშურებოდა. უვლიდა და ეფერებოდა მშობლების საფლავებს, ეზო-კარმიდამოს, ყველაფერს მოანესრიგებდა, რათა მის „მონაგარს“, როგორც რაჭაში იტყვიან, კარგად დაესვენა.

ქალბატონი აგნესა მთელი სოფლის სათაყვანო ქალი იყო. ჩასვლისთანავე ოჯახებს სტუმრობდა, სასარგებლო რჩევებს აძლევდა, მკურნალობდა, გამოჯანმრთელების რწმენას უნერგავდა ხალხს.

ამ დიდებულმა ოჯახმა სამი ღირსეული ქალი გაზარდა:

ნელი — ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორია.

ნათელა — ექიმი, სამი წელი ამბროლაურის საავადმყოფოში ექიმ-თერაპევტად იმუშავა. ამჟამად ნათელა უროლოგიის ინსტიტუტის ექიმ-თერაპევტია, არის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

ბელა სამედიცინო ინსტიტუტის კვების ჰიგიენის კათედრის ასისტენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

ქალბატონები ოჯახისთვის ნიშნული მადლით გამოურჩევა განგებას, გარეგნული სილამაზე და მედიცინის დოქტორობა მათი საგვარეულო ნიშაა, რითაც ამაცობენ კიდევ.

როგორც ჭაბუა ამირეჯიბი იტყოდა, „ცხოვრება არის ის, რაც გახსოვს. დანარჩენი არსებობაა“.

მათ ხომ ყველაფერი ახსოვთ — გზა მშობლებისა, მამის ტრიუმფი და ცხოვრების გვირგვინი, რომელსაც უკვდავება ჰქვია.

წელს ბატონი ვიტალი 95 წლის გახდებოდა!

ნინო რეხვიაშვილი

მამას უდიდეს ტკივილს დაცლილი სოფლები და გაგვიჩანებული ადგილ-მამულების ტკეპა წაკითხვად

„მიყვარს მთის რაჭა, წელიწადის ყოველ დროს საამოდ საცქერი. ცად აზიდული მარად თოვლიან-ყინულიანი მთები: „ფასა“, „ბუბა“, „ფურჟულა“, „კატინვერა“, „ლოლორა“, „შოდა“, „შთალა“, „კირტიშო“, „დომბურა“, „სანაცხე“ და სხვ. მწვერვალებიდან გადმომქუხარე, მზის სხივებზე მოელვარე ვერცხლისფერი ჩანჩქერები. ბუნების მაცოცხლებელი მოჭიკჭიკე ფრინველთა დაუცხრომელი საგალობლები, ჯიხვებისა და არჩვების სანავარდო ჭიუხები და ამწვანებული ალპური მდელოები, წითელწინკლება კალმახის საყვარელი რიონის ნაკადულები და ბინულები. ბუნების ამ სილამაზესა და მედიდურობას ვუმღერი მე“ — ასე გულმხურვალედ წერდა მთის რაჭაზე — ჭიორაზე უსაზღვრო სიყვარულით ანთებული მამაჩემი, მწერალი და ეთნოგრაფი სპარტაკ რეხვიაშვილი.

სიცოცხლის ბოლო წლებში სევდიანი და თვალ-



რუსუდან (მანო) რეხვიაშვილი

ცრემლიანი საუბრობდა სოფლების დაცლა-გავერანების შესახებ. ის ხედავდა თუ როგორ იცლებოდა მისთვის სათაყვანო ისტორიული სოფლები — ლები, ჭიორა და გლოლა მოსახლეობისგან. ბუხარი ყველგან მწუხრობდა.

თავადაც უკვე ღრმად მოხუცი გრძნობდა, რომ უძლურდებოდა, არადა, რაჭის მთები, წყალი, ბუნება იყო მისი სიცოცხლის წარმმართველი ძალა.

მამაჩემი კარგად იცნობდა მთის რაჭის ისტორიული წარსულის მჩქეფარე ცხოვრებას, განთქმული მთიბავები ტოლს რომ არ უდებდნენ ერთმანეთს. დაწვრილებით ჰქონდა შესწავლილი სახნავ-სათესი, სათიბი მიწები, მათი სახელები, სასარგებლო ბალახები და სხვ.

სტატია, რომელსაც ახლა გაცნობით სწორედ ხალხმრავალი სოფლების — ჭიორლებისა და ღებლების XIX ს-ის ბოლო წლების თიბვა-მკის ამბებს მოგვითხრობს.

რუსუდან (მანო) რეხვიაშვილი
ისტორიკოსი

ჭიორა და ლები XIX საუკუნეში

მთის რაჭაში გასაბჭოებამდე, ვიდრე აქ კოლმეურნეობები შეიქმნებოდა, სათიბები და საძოვრები სათემო-საგვარეულო საკუთრებას წარმოადგენდა, რითაც მთელი თემი ერთად სარგებლობდა. ოჯახის გაყოფის შემთხვევაში ძმებზე ჰყოფდნენ სათიბ-საძოვარ ადგილებს. ამ შემთხვევაში უფროსი ძმის უფლება არ არსებობდა. ქალს კი საერთოდ წილი არ ჰქონდა, უძეოდ გადასული ძმის სათიბი და საძოვარ-ველები თემის საკუთრებად რჩებოდა.

სათიბ-საძოვრით მდიდარი მთის რაჭის მთები მკვეთრად გამოხატული საზღვრებით განაწილებული იყო სოფლებისა და საგვარეულოების მიხედვით და ასე საუკუნეების განმავლობაში ისინი შთამომავლობას გადაეცემოდა.

მთის რაჭველები სათიბ-საძოვარი ველების სასაზღვრო ზოლის განმტკიცებას დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ამიტომ იყო, რომ სათიბი მთებისა და ველების მიჯნაზე ორმოებს თხრიდნენ, რომლებსაც შემდეგ ხის ნახშირით ავსებდნენ. თითოეულ ორმოს ამალღებული ქვის ყორით შემოსაზღვრავდნენ, ასეთ სასაზღვრო ნი-

შანს „ყორღანს“ ეძახდნენ.

მთიბავს მარადიული თოვლით დაფარული ულამაზესი მწვერვალების — ფურჟულასა და შოდას ხილვა სიმხნევეს მატებდა. შესვენებისას მთების მშვენიერებასა და სიდიადეს გულმხურვალედ უმღერდა.

შოდას იმიტომ უმღეროდნენ, რომ მთის შემოგარენი ფერდობები დაფარული იყო ნოყიერი ბალახეულით. XVI ს-ის დამდეგამდე აქ მალალმთიანი სოფელი შოდაც კი იყო, რომლის მოსახლეობის საქონელი შოდის მთის ბალახით იკვებებოდა. აქ გაისმოდა მთიბავების ღულუნ და მთის სადიდებელი სიმღერები, რაც მოგონებადღა შემორჩა მოსახლეობას. სოფელი შოდა კი ახლა უკვე ნასოფლარია.

პირუტყვის საკვები ბალახეულიდან, აქაური ხალხის ცოდნა-გამოცდილებით მწყერიფება გამოირჩეოდა. მწყერიფება ყვავილიანი ბალახია, ქოლგასავით გაშლილი ფოთოლი ამშვენებს და პირუტყვის ნოყიერ საკვებად ითვლება. ამ ბალახით დაფარული ველ-მინდორი ახარებს მთიბავის გულს. ასეთი ბალახი კარგი სათიბიც არის. თიბავდნენ აგრეთვე მამლიკოდას —

უფოთლო ბალახს, მაგრამ იგი ცუდი სათიბია და ხარისხითაც არ გამოირჩევა. რაც შეეხება სამყურას, იგი კარგი ხარისხის ბალახია და სათიბადაც ადვილია. აი, ვაციწვერა კი უფოთლოა და მთის რაჭაში ძირითადად ცხენისა და ჯორის საკვებად იყენებდნენ. ვაციწვერა ძნელი სათიბიც არის, ამიტომ მთიბავი მას ნაკლებად ეტანება. აღსანიშნავია, ძუძუკატაც, ფოთლიანი ბალახი, რომელიც ლობიოს მსგავს ნაყოფს ისხამს. გოგონები ამ ნაყოფს მძივებით ძაფზე ასხამდნენ ხოლმე და გულსაკიდად იყენებდნენ. პარკოსანი ბალახეულია აგრეთვე მაკნა. თიბავდნენ აგრეთვე ცხვირსატეხელას. ყვითელი ფერის ყვავილოვან ბალახს. ფოთლოვან, დაბალ ცალ-ბალახს, რომელიც კარგი სათიბიც არის და პირუტყვის საუკეთესო საკვებადაც ითვლება — „ხარმა ხარი დაპატიყა ეკლიანსა ბალახზეო“, — ამბობს რაჭული თქმულება. აღსანიშნავია აგრეთვე ბალახები: ძაღლიენა — დაბალი ფოთლოვანი ბალახი, იგი მართლაც გავს ძაღლის ენასო, — ამბობენ რაჭველები.



მჭედელი ოყა გობეჯიშვილი პატარა ლებიდან

მაჟაველა — ფოთლოვანი ბალახია მაღალი იზრდება და პირუტყვის საუკეთესო საკვებად ითვლება, მისი ნორჩი ღერო ადვილად იფცქვება. მას ადამიან უმადაც იყენებდა საჭმელად. **შხამბალახა**, რომელიც ხალხის დაკვირვებით დედალ-მამალია. დედალი შხამა კარგად ნოყიერ ბალახად ითვლება. იგი დაბალი იზრდება, თესლი არა აქვს. მამალი შხამა მსხვილღეროიანია, მაღალი იზრდება. თესლს იკეთებს, პირუტყვი მის ღეროს არ ჭამს, რადგან შხამიანია. ფოთოლს კი გემრიელად შეექცევა. ბალახია აგრეთვე **სარწყილაც**, რომელსაც თეთრი ყვავილი აქვს, მყრალია, მაგრამ სამკურნალოდაც იყენებენ. ვახსენოთ **ძენწლაც** — სათიბი ბალახი, რომელიც ხარისხით არ გამოირჩევა, მაგრამ პირუტყვის საკვებად მაინც იყენებენ. **ქურქუნდელი** — მაღალღეროიანი და ფართოფოთლიანი ბალახია. იგი ჩრდილში იზრდება. მას მიირთმევენ დათვი, შინაური პირუტყვი და ადამიანიც. **ხერჩო** — ყვავილიანი ბალახი, **თომი** — მთის წმინდა უფოთლო ბალახი, რომელიც იხმარება ქალამანში ჩასაფენად. ცხადია, პირუტყვის საკვებადაც გამოიყენება. **მუყუდო**, რომელიც გამოირჩევა ნოყიერებით. ფოთლოვანი ბალახია. მისი ნორჩი ღერო იფცქვება და ადამიანიც გემრიელად შეექცევა. იგი პირუტყვის საუკეთესო საკვებია. **მუყუდომაცილობელა** — ფოთლოვანი ბალახია, რომელიც პირუტყვის საუკეთესო საკვებად ითვლება. **ლატი** — ფოთლოვანი და მაღალღეროიანი ბალახია, რომელსაც პირუტყვიც ჭამს და ადამიანიც შეექცევა. **სარო** — მაღალღეროიანი და ფოთლოვანი ბალახი. **მყრალა** — ეს ბალახი ცუდი სუნით გამოირჩევა, ამიტომ შეურქმევიათ მყრალა. **ჭარიბალახი** —

რომელიც იზრდება ჭაობში, უფოთლოა, ჭამს ცხენი და ჯორი.

უხვი და ნოყიერი ბალახით დაფარული მთები გულს უხარებდა მთის რაჭველს, თვალი სულ მთებისკენ ეჭირა და თიბვის დაწყებას ელოდა.

თიბვა მთის რაჭაში, ტრადიციულად, ივლის-აგვისტოში იწყება. ამ დროისათვის მთიბავთა ოჯახები საგანგებოდ ემზადებოდნენ. წესრიგში მოჰყავდათ საჭირო იარაღები: ცელი, ცელის ტარი, ცელის სალესი ქვა, ცელის გამოსაკვერავი დგვემლი და ხელკვერი, საფოცხელი, ფინალი, ნაჯახი და სხვა. ტყეში ამზადებდნენ ხარ-მარხილს, იმარაგებდნენ სურსათ-სანოვავს, ფეხსაცმელს და ტანსაცმელს, რომ ყოველმხრივ მზადყოფნაში შეხვედროდნენ თიბვის დაწყების კამპანიას.

მთიბავი ვიდრე თიბვას შეუდგებოდა, გატეხდა განატეხს, პირჯვარს გადაინერდა და ლოცვით

წარმოთქვამდა: ღმერთო და ჩემო გამჩენო, ბედნიერი თიბვა-მკა მოგვეცითო. ამის შემდეგ მთიბავი მამაკაცი სათიბ ველს ზემოდან მიადგებოდა, ბალახის თიბვით ქვემოთკენ მიიკვლევდა გზას. ასე ზემოდან ქვემოთ ერთჯერადად გათიბულ მინდვრის ზოლს ლესურს უწოდებდნენ. ხოლო მის პარალელურად მარცხენა მხარეს ლესურის მთელ სიგრძეზე დაწყობილი გათიბული თივის სარტყელს — სრიელს. მთიბავის სიბეჯითეს ლესურის სიმრავლით განსაზღვრავდნენ.

მამაკაცი ერთ ადგილზე თიბვას რომ მორჩებოდა, დროებით სახლში ბრუნდებოდა, ან მეორე ადგილზე გადაინაცვლებდა და იქ გააგრძელებდა თიბვას.

ჩვენი წინაპრები სათიბ-საძოვარ ადგილებსა და ველებს განსაკუთრებულად უვლიდნენ, ქვა-ლორღისგან წმენდნენ, რათა ცელი თიბვის დროს რაიმე საგანს არ მოხვედროდა და პირი არ დაეზიანებინა.

თითოეული სოფლის სათიბი და საძოვარი ადგილები გამიჯნული იყო ბუნებრივი საზღვრებით (მდინარე, ხევი, მთა და სხვ.). ამ საზღვრების დარღვევა და სათიბ-საძოვარი ველების მიტაცება არავის შეეძლო. ეს დიდ შეხლა-შემოხლას და ზოგჯერ სისხლიან შეტაკებას გამოიწვევდა. ამიტომაც სოფელი მტკიცედ იცავდა თავის სასაზღვრო ზოლში მოქცეულ სათიბ-საძოვარ ადგილებს, მაგრამ მეზობელ სოფლებს შორის ზოგჯერ მაინც ხდებოდა გაუგებრობა, სასაზღვრო ზოლში მდებარე სადავო სათიბ-საძოვარ მთებზე იმ შემთხვევაში დავა მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით არ მოგვარდებოდა. საქმე სასამართლოს გზით წყდებოდა.

გადმოცემით ვიცით, რომ ლებლების მფლობელობაში იყო მდინარე რიონის სათავის „გორიბოლოსა“ და „სახვანო გორის“ სათიბ-საძოვარი მთები, რომელიც



ჭიორელი „მენვრილმანე გლეხვაჭრები“. მარცხნიდან მათე (პატეენთი), ვასილა (ბუჭალეენთი), სერგო (შოშიტეენთი), სერგო (სეხნოენთი) რეხვიაშვილები. ისინი განთქმული მომღერლები და საფერხულო ცეკვის დიდოსტატები იყვნენ. 1910 წელი.

სვანებსა და ლეხლებს შორის ხშირად დავის საგანი ხდებოდა. სვანები ჯიუტად ხელს არ იღებდნენ ღებელთა საკუთრებაში მოქცეულ ბართუს ველზე, ამიტომ ისინი იძულებული გახდნენ ულტიმატუმით მიემართათ მოდავეთათვის:

*„ართუხელ-ბართუს ველი,
ზამთარს თქვენი,
ზაფხულს ჩვენი,
არ დააბალახოთ ცხენი,
არ გამოუქნიოთ ცელი“.*

დანამდვილებით ვერ გეტყვით, რომ ამ ულტიმატუმმა დააფრთხო ან შეაშინა სვანები და ხელი ააღებინა ღებელთა კუთვნილ საძოვრებზე, მაგრამ ფაქტია, რომ ლექს-ულტიმატუმის შემდეგ სვანებს ბართუს ველში აღარც ცელი მოუქნევიათ, არც ცხენი დაუბალახებიათ და ღებელებთან მშვიდობიანად მოუგვარებიათ დავა.

სათიბ-საძოვარი მთები და ველები უფრო ახლობელ და მონათესავე მთის რაჭის სოფლებს შორისაც გამხდარა შეხლა-შემოხლისა და დავის საგანი, რაც არა მარტო ხალხური გადმოცემით, არამედ წერილობითი ცნობებითაც დასტურდება. 1894 წ. 4 სექტემბერს გაზეთ „ივერიაში“ ვინმე მ. ღებელი თანასოფელელთა საამებლად წერდა:

„ძველთაგანვე ათადგან-ბაბამდე ღებელების სარგებლობაშია სათიბი, ე. წ. შთალა-ნისკარგა. დიდი ხანია, რაც ჭიორლები ედავებიან ღებელებს. ეს სათიბი უნდათ გამოგლიჯონ ხელიდან და თავის საკუთრებად აქციონ... მაგრამ არ იქნა, ვერ აისრულეს წადილი. სათიბებისათვის ამ დავაში ღებელებს დაუმარცხებიათ ჭიორლები“.

გადმოცემით, ღებელებს აუყვანიათ ცრუ მოწმე, გლოველი ფეცი — (გოგეითი), რომელიც, თურმე, ამ დავისას — ღებელებს ბრმად უჭერდა მხარს, საჯაროდ განუცხადებია, შთალა ღებელებს ეკუთვნისო. ამას ჭიორლები ძალზედ აღუშფოთებია.

ღებისა და ჭიორის დავის ეს ამბავი სათიბ-ველებზე ხალხს გაუღიქსავს, რომელსაც ჭიანურის საამო ჰანგზე მღეროდნენ. ღებელებმა ორ მეზობელ სოფელს

შორის დავის ჩამომგდები დანდაგიშვილი (დეტულენთი) გაკიცხეს, დაწყევლეს და ჭიორლების პასუხი ლექსად გაუგზავნეს:

*ახალ ამბავს მოგახსენებთ,
ყური დაუგდეთ ამასა,
ღმერთი გაუნყრა მაღალი
დანდაგიშვილის მამასა,
ორი სოფელი შეყარა
ჭირსა და ხათაბალასა,
გადაგვამტერა ჭიორლები
წარმოგვადვენა „შთალასა“.*

მიუხედავად იმისა, რომ ჭიორლებმა ღებელებს პირობა მისცეს სადავო მთის დათმობის შესახებ, თურმე საბოლოოდ ხელი არ აუღიათ შთალას მთის სადავო ნაწილზე და მის უკან დაბრუნებასა და მისაკუთრებას მაინც ჯიუტად ცდილობდნენ.

ამ მიზნით დავა მეზობელ სოფლებს შორის დიდხანს არ შეწყვეტილა. ღებელებისთვის მათ ლექსადაც კი მიუმართავთ:

*„რომა ბლუით, რასა ბლუით,
რას გვაშინებთ ფახათაო,
ვაჟკაცობით გჯობივართყე,
მოთმენილი გულითაო,
ღმერთი არ გაგიმარჯვებთყე,
ჭიორლებთან ტყუიხართო,
შთალას ვერავის დაუთმობთ
შფოთითა და დავითაო“.*

ჭიორლები, ღებელებთან დავით რომ ვერას გახდნენ, 1893 წ. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს მიმართეს საჩივრით, რომელმაც დავის გადასაწყვეტად „ზემლემერი“ მოავლინა. ამჯერად დავა ჭიორლებსა და ღებელებს შორის სათიბ შთალის მთაზე ჭიორლების სასარგებლოდ გადაწყდა, რომლებმაც კანონიერი საშუალებით დაისაკუთრეს შთალის სათიბი მთის ნაწილი მდინარე ხვარგულას მარჯვენა სანაპირო, რომელიც დღემდე ჭიორელთა სარგებლობაშია. იმ დროის მოსაგონრად სადავო ადგილის ტოპონიმი „ნაომარა“ დღემდე შემორჩა.

ასე ხდებოდა წარსულში, მინა სათიბ-საძოვარი ველები დიდად ფასობდა. დღეს გარდასულ დღეთა ზემოთ ნახსენებ ამბებს ხალისით იგონებენ.

სპარტაკ რახვიაშვილი,
მწერალი, ეთნოგრაფი

P.S. კომუნისტური მმართველობიდან მოყოლებული და შემდგომგა პერიოდმა გლეხკაცს მინა, სათიბ-საძოვარი, საქონელი, კარმიჯამო ისე შეაძულა, რომ სოფელს ზურგი შეაქცია და ქალაქს მიაშურა. სოფელი მუშახელისგან დაიცალა, სათიბაგისათვის შეხლა-შემოხლა აღარ ხდება, წადი და თიბე რამდენიც გინდა და სადაც მოგასურვება, სამწუხაროდ, ხელის შემშლელი აღარავინ არის!!!

306 იყო უაფუე ლეჟავა და რა წვლილი მიუძღვის შოვის დაარსების საქმეში

შოვი მდებარეობს ზემო რაჭაში, ქალაქ ონიდან 25 კილომეტრის დაშორებით, ცად აწვდილი წინვია-ნი ტყით, ალპური მდელოებით, მალალი მთებითა და მუდამ ტოვლით დაფარული მყინვარებით გარ-შემორტყმულ ტაფობზე.

ფიჭვნარი, სუფთა ჰაერი, სიმყუდროვე და ანკარა მთის მდინარეების ჩუხჩუხი დამამშვიდებლად მოქ-მედებს ადამიანზე.

საქართველოს სხვა კურორტებთან შედარებით შოვი უფრო ახალგაზრდაა. მისი დამაარსებელია ცნობილი რევოლუციონერი ექიმი შამშე ლეჟავა. იგი წარმოშობით ამბროლაურის რაიონის სოფელ წკადისიდან იყო. შამშე ლეჟავამ სამედიცინო განა-თლება მიიღო ვენის უნივერსიტეტში, სადაც სწან-ლობდა 1905-დან 1910 წლამდე.

ექიმი ლეჟავა დიდად დაინტერესებული იყო საკურორტო საქმით, რის გამოც სტუდენტობის პე-რიოდში ეცნობოდა საზღვარგარეთის სხვადასხვა კურორტს.

შ. ლეჟავა ბევრს მოგზაურობდა ევროპაში. 1908 წელს ფეხით გადავიდა ჟენევიდან ვენაში; გაეცნო და გულდასმით შეისწავლა კურორტები: ალანდი, დავოსი, ვილდუნგენი, ბადენი, კარლსბადი, ვალენ-ზეე, აუსზეე და სხვები.

1910 წელს ლეჟავამ დაამთავრა ვენის უნივერ-სიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი, მიიღო ექიმის

წოდება და იმავე წელს დაბრუნდა საქართველოში.

მშობლიურ რაჭაში ჩასვლისთანავე იგი შეუდგა ადგილის შერჩევას იმ განზრახვით, რომ რადაც არ უნდა დაჯდომოდა, აეშენებინა კურორტი. საკუ-რორტო ადგილად შეარჩია ამბროლაურის რაიონის ერთ-ერთი ლამაზი კუთხე შაორი, სოფელ ნიკორწ-მინდასთან ახლოს, ნაქერალას გადასასვლელზე, ხარისთვალას ტბასთან კურორტი უნდა გაშენებუ-ლიყო ე.წ. „ვაკე ნაძვნარი“ ტუბერკულოზით დაავა-დებულთათვის.

შემოდგომაზე შ. ლეჟავა გაემგზავრა რუსეთში-ყაზანში, პეტერბურგსა და მოსკოვში. 1911 წელს მოსკოვის უნივერსიტეტში გაიცნო ცნობილი იუ-რისტი პროფესორი ლამბაროვი, რომელსაც გაუ-ზიარა თავისი აზრი კურორტის მშენებლობის შე-სახებ. ლამბაროვის დახმარებით და მონაწილეობით მან შეადგინა „წესდება შაორის სანატორიუმის მშე-ნებლობის დამხმარე საზოგადოებისა“.

1913 წლის ივნისში შეძლო შ. ლეჟავამ მოეწვია „შოვის სანატორიუმის მომწყობი საზოგადოების“ წევრების კრება. ეს საზოგადოება მის მიერვე იქნა ჩამოყალიბებული. კრებაზე მიიღეს დადგენილება შოვის და შაორის საკურორტო ადგილების შესწა-ვლის შესახებ.

1914 წელს ონში მოეწყო „შოვის კურორტის მშე-ნებლობის დამხმარე საზოგადოების“ გაფართოე-ბული კრება, რომელმაც მოისმინა კომი-სიის მუშაობის შედეგები. იმავე კრებაზე უნდა გადაეწყვიტათ საკითხი – სად აშე-ნებულიყო სანატორიუმი, შოვში თუ შა-ორზე.

შ. ლეჟავას გულმოდგინე ცდისა და „ხელშემწყობი საზოგადოების“ ღო-ნისძიებების მიუხედავად, ვერც ცარიზ-მის დროს და ვერც მენშევიკური ხელი-სუფლების პერიოდში ვერ მოხერხდა ხორცი შესხმოდა შოვში კურორტის გა-შენების ამ შესანიშნავ იდეას.

1923 წლის მაისში დაინიშნა კურორტ შოვის მშენებლობის კომისია. იმავე წელს შეიქმნა სამშენებლო კომიტეტი, რომელ-შიც სამედიცინო პერსონალთან ერთად შევიდნენ ტექნიკური მუშაკებიც.





1923 წლის მეორე ნახევარში გამოიყო თანხის ნაწილი, რითაც შეიძლებოდა მშენებლობის დაწყება. 1923 წლის აგვისტოში შოვში ჩავიდა სამეცნიერო ექსპედიცია, რომელშიც მონაწილეობდნენ გეოლოგი ავქსენტიევი, ტოფოგრაფი პროფესორი ბენაშვილი და განთქმული ქიმიკოსი კუპცისი. 1923 წლის ნოემბერში წინასწარი სამუშაოების ორგანიზაციისათვის შოვში მივლინებულ იქნა გამოჩენილი ინჟინერი ა.ჭიჭინაძე. მისი ხელმძღვანელობით

მოკლე ხანში აშენდა ხიდი მდინარე ჭანჭახზე, რის შედეგადაც უკვე შესაძლებელი გახდა ქუთაისიდან საშენი მასალის ჩაზიდვა შოვში. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო მდინარე ჭანჭახის მარჯვენა ნაპირზე, ელექტროენერჯის მისაღებად წყალი უნდა გამოყვანილიყო მდინარე ბუბიდან. ამ სამუშაოებს აწარმოებდა ინჟინერი კოლჩინი. 1925 წლის 15 ივლისს საძირკველი ჩაეყარა სანატორიუმის შენობას. კურორტის მშენებლობა სწრაფი ტემპით წავიდა და 1928 წელს იგი უკვე მზად იყო საექსპლოატაციოდ. წინვანარში აშენდა სანატორიუმის ორსართულიანი ლამაზი შენობა, სასტუმრო, ელექტროსადგური, კურორტის მომსახურე პერსონალის საცხოვრებელი სახლი, პოლიკლინიკა, მეორე სანატორიუმი.

1929 წელს საკურორტო სამმართველოს საზეიმო ვითარებაში გადაეცა კურორტი. შედგა დიდი მიტინგი, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკიდან, ისე საზღვარგარეთიდან- საფრანგეთიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, ინგლისიდან, ამერიკიდან, ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოსული სტუმრები.

ლეილა სოსაძე - ღვალი

სიკეთის ნიჭი ჩვენ ღმერთმა მოგვცა

ვეთაყვანები ვეკლავფრს ძველს,
 წნე-ჩვეულებას და ადათ წესს,
 გავლა-გამოვლას ლაზათიანსა,
 და სიტყვა ჰასუსს თავაზიანსა.
 სანამ ვერ გცნობენ მნელია ცხოვრება
 როცა გავიცნეს ასრულებ მათ თხოვნას
 ღრმად, რომ გავიცნეს უკან ბრუნდები
 და ისევ იწეებ ახალ ცხოვრებას.
 ოჰ, რა რთულია ქვეყნად ცხოვრება,
 შრომით და ოფლით მოსული ქონება
 ოხ, ღმერთო ჩემო, რა რიგ ტკბილია
 როცა მკლავში და მუხლში ღონეა.
 თუნდაც რომ ვიყო ბარდში, ეკალში,
 ოღონდ, ეს რწმენა მქონდეს ბოლომდის,

ნუ დავვარდები, უფალო ღმერთო
 და ნუ მომაწვდის მე წყალს ნურავინ,
 არცა ვინატრო კარგი საწოლი
 ფეხზე მდგომელმა ვადიდო ღმერთი,
 ვერ გაგაკვირვებთ მე თქვენ ვერაფრით,
 გული-კეთილი და არაფრის მქონე.
 სიკეთის ნიჭი ჩვენ ღმერთმა მოგვცა.
 კვალი დავტოვოთ ამ ნიშნით დიდი.





სოფლისა და სავაჭრო უბანის მშენებლობის პროექტის ღირებულება 210000 ლარია.

ხვანჭკარის ადმინისტრაციულ ერთეულში სანიაღვრე არხების მოწყობა მიმდინარეობს. მთლიანად მთელ თემში 2118 მეტრის სანიაღვრე არხი უნდა მოეწყოს. პროექტის ღირებულება 210000 ლარია.



ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საბავშვო ბაღების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროცესი ისევ გრძელდება. დღეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მალხაზ

ლომთაძემ ჭრებალის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჟოშხაში საბავშვო ბაღის მშენებლობის პროცესი დაათვალიერა.



„ნიმო ჩახვიაშვილის გაემთხვეობა“

ნიკანოზი

ნაოქრობა ვაზლუხიძე.
ნიმოს შაქანი შეიქმნა
„შინაი „ნაჭვიაშვილი“
ნადავითაში.



ახალი წიგნი

„ნიმოს ბრძოლის გამოცემის“ – მიმდინარეობს უდიდესი უბრალო წიგნი წა-ბრძოლის სასულიერო „ბაქა წაბრძოლის მამა“-ს, ბრძოლის ყველა მინააბრძოლის თანამშრომელი და ჩუნი უბრალო დიდობა-ლომის, ნიმოს ბრძოლის წამლის თანამშრომელი და მამის წიგნის მიმდინარეობა, 604 გვერდი უბრალო მინააბრძოლის, ზღაპრული, ბრძოლის მიმდინარეობა სიუჟეტული იმდენად და სიუჟეტული და მამის წიგნის მიმდინარეობა. მიმდინარეობა წამლის მიმდინარეობა, მიმდინარეობა თუ ლეგენდები, წამლის მიმდინარეობა თუ თანამშრომლის... ეს ყველაფერი მიმდინარეობს ახალი და თანამშრომლის მიმდინარეობა ახალი თანამშრომლის, ბაქა, ჩუნი ახალი, უბრალო მიმდინარეობა, მიმდინარეობა ახალი წამლის მიმდინარეობა, მინააბრძოლის მიმდინარეობა და განსაკუთრების თანამშრომლის.

წიგნი დასრულებული და მინააბრძოლის მიმდინარეობა სრულყოფილია, თანამშრომლის ეს იმას ახალი წამლის მიმდინარეობა, ბაქა – თანამშრომლის თანამშრომლის მიმდინარეობა გამოცემის უდიდესი თანამშრომლის მიმდინარეობა, ბაქა თანამშრომლის მიმდინარეობა. წიგნი ახალი მიმდინარეობა მიმდინარეობა უბრალო სასულიერო მიმდინარეობა.

მაშ ასე, „ბაქა წაბრძოლის მამა“-ს მიმდინარეობა იმდენად თანამშრომლის მიმდინარეობა განსაკუთრებული ადგილს დაიკავებს.



ნინო ხეხვიამჭვირის გამომცემლობა



მისამართი:

თბილისი,

ლესელიძის 27

მე-2 სართ.

599746810

790746810

ნიგნების ბეჭდვა

ჭურნალ-
ბაზათების
ბეჭდვა

ანყოფა,
დიზაინი,
დაკაბადონება